საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 11 ოქტომბერი, 2014 წელი.

№209 (7590)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჯოხებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

სოსო არჩვაძე: საჯარო მოხელეს მხოლოდ ფინანსური სარგებელი არ უნდა ამოძრავებდეს

③

ომარ ალ-შიშანი რუსეთს ემუქრება

②

საქართველო, შესაძლოა, პატარა ქვეყანა იყოს, თუმცა, ოლიმპიური თვალსაზრისით, ის უდავოდ დიდი სახელმწიფოა

გიორგი მარგველაშვილი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს შეხვდა. ქვეყნის პირველმა პირმა მსოფლიო მასშტაბით საქართველოს წარმოჩენის თვალსაზრისით ქართველი ოლიმპიელების როლზე ისაუბრა.

მათივე ინფორმაციით, სეოკის პრეზიდენტმა თომას ბახმა ხაზგასმით აღნიშნა სოჭის ზამთრის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობა და მადლობა გადაუხადა ქართულ მხარეს ამ გადაწყვეტილების მიღებისთვის. მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს მსოფლიო ოლიმპიზმის განვითარების საკითხში ქართველი ათლეტების როლზეც.

„საქართველო, შესაძლოა, პატარა ქვეყანა იყოს, თუმცა, ოლიმპიური თვალსაზრისით, ის უდავოდ დიდი სახელმწიფოა. ამ მხრივ, ქართველმა ათლეტებმა ისტორიული როლი შეასრულეს მსოფლიო მასშტაბით და ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულები არიან“, — აღნიშნა თომას ბახმა.

მხარეებმა ასევე განაცხადეს, რომ აუცილებელია ოლიმპიური კომიტეტი ჩაებას ერებს შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში და შეთანხმდნენ, რომ ამ მხრივ თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდეს.

თომას ბახმა გიორგი მარგველაშვილი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში შვეიცარიაში, ლოზანაში მიიწვია, სადაც მხარეები თანაშრომლობის გაღრმავების პერსპექტივასა და სამომავლო გეგმებს განიხილავენ.

შეხვედრის დასასრულს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ქვეყნის პირველი პირი საგანგებო მედლით დააჯილდოვა, რომელიც ოლიმპიური თამაშების აღმდგენელმა პიერ დე კუბერტეინმა, საგანგებოდ სახელმწიფოს მეთაურებისთვის დააწესა. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა კი გიორგი მარგველაშვილს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით სპეციალურად მოჭრილი მედალი და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა. სიმბოლური საჩუქრები საქართველოს პრეზიდენტისგან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმაც მიიღო.

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების გარეშე ქართული სახელმწიფო ვერ აშენდება

②

მსესხებლები „დომინანტ მამრთა“ ხელში

⑤

ბანკები და ჩვენი ყოფა

ნაპოლეონის ორეულების საიდუმლოება

⑥

რამდენი ყალბი იმპერატორი იყო?

ვინ არის მართალი?

„ფაქტ-ვეტრის“ გადამოწმებული ხუთი ფაქტიდან ორი განცხადება ტყუილი აღმოჩნდა

④

დღის ამოჭრაზურიდან

ენაკვესია კვესიტაძის ბებია რაფალიანცი ყოფილა

— გაიგე რა ხდება? რატომ არის ეს ჩვენი ენამჭევრი ნაციონალი პოლიციელის შოთა უტიაშვილის ძვირფასი ცოლი ეკა კვესიტაძე ასე თავგადაკლული რაფალიანცის საქმეზე?

— რატომ და, ნაციონალების გათეთრება და ოცნების გაშავება უნდა?

— ეგ თავისთავად, ბატონო, მთავარი ის არის, რომ ბებია ჰყოლია დედის მხრიდან რაფალიანცი, და ერთმანეთის ტყავს არა ხევენ, გენაცვალე.

— არა, ძმაო, საქართველოში, ეტყობა, არც არასოდეს მოიშლება ეს ნეპოტიზმია თუ რაღაც ოხრობა, ანუ პაპიდაშვილ-ბებიდაშვილობა...

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრეზიდენტს სურს, რომ ქვეყანაში დემოკრატიის გარანტი და მედიის დამცველი იყოს

განაცხადა „პალიტრა ტვ“-ს ჟურნალისტმა მერაბ მეტრეველმა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისა და ტელეკომპანიების წარმომადგენლების შეხვედრის კომენტირებისას.

„პრეზიდენტს აინტერესებდა, ჰქონდა თუ არა დღევანდელი ხელისუფლების პირობებში მედიას რაიმე პრობლემა, სადაც პრეზიდენტს შეუძლია, დახმარება აღმოუჩინოს. მე როგორც მივხვდი, პრეზიდენტს სურს, რომ ის იყოს დემოკრატიის გარანტი ქვეყანაში, ეს ასეც უნდა იყოს და მედიის დამცველი. ეს ძალიან კარგი სურვილია“, — განაცხადა მან.

მისივე თქმით, მედიასაშუალებების წარმომადგენლების მხრიდან უფრო იყო საუბარი არა პრობლემებზე, არამედ პრობლემების მოლოდინზე, რომელიც ზოგიერთ ტელევიზიას, მათ შორის, „რუსთავი-2“-ს აქვს.

„მომავალში რა მოხდება, ამაზე რეაგირებას, ბუნებრივია, პრეზიდენტი დღეს ვერ გააკეთებს და ეს უთხრა კიდეც მათ. როგორც გაირკვა, „რუსთავი-2“ დღემდე არის სარეკლამო ბაზრის ლიდერი. როდესაც ყველაზე მეტი რეკლამა შენთან მოდის და ყველაზე რეიტინგული ტელევიზია ხარ, ვერ იტყვი იმას, რომ ხელისუფლება რაღაც პრობლემებს გიქმნის, უბრალოდ, მათ ეშინიათ, რომ შეიძლება მომავალში შეექმნათ პრობლემა, მაგრამ თუ ასეთი რამ მოხდება, დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი იქნება მედიის და დემოკრატიის სადარაჯოზე. მე ეს სურვილი დავინახე გიორგი მარგველაშვილის მხრიდან“, — განაცხადა მეტრეველმა და დასძინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მედიას შეექმნება პრობლემები საქმიანობაში, პრეზიდენტის მხრიდან უბრალო განცხადებასაც უდიდესი რეზონანსი ექნება.

„ოდა ოლიმპიურ ჩემპიონებს“

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში სახელოვანი ქართველი ოლიმპიელებისადმი მიძღვნილი მონუმენტურ-სკულპტურული ექსპოზიცია „ოდა ოლიმპიურ ჩემპიონებს“ გაიხსნა.

ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ თომას ბახსა და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტ პატრიკ ჰიკთან ერთად, დაესწრო.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა სპორტსმენებს, რომლებმაც ქართველ გულშემატკივარს არაერთი სიხარული მოუტანეს.

„ქართველებს ნამდვილად გვაქვს ის, რითაც შეგვიძლია ვიამაყოთ - 1952 წლიდან მოყოლებული დღემდე, 34 ოლიმპიური ჩემპიონი გვყავს, რომლებმაც 37 ოლიმპიური ოქროს, 28 ვერცხლისა და 53 ბრინჯაოს მედალი მოგვიტანეს. ასეთი შედეგები ჩვენზე უფრო დიდ და მრავალრიცხოვან ბევრ ქვეყანას არა აქვს. მადლობა ჩვენი სპორტსმენების ყველა თაობას ამისთვის. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ დღეს ჩვენი ოლიმპიელები დამოუკიდებელი საქართველოს დროშით გამოდიან და ოლიმპიურ ქალაქებში საქართველოს ჰიმნი ჟღერს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ექსპოზიციის გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას.

მერიის თანამშრომლთა მიზანმიმართული პროვოკაცია

თბილისის მერი დავით ნარმანია თბილისის მერიის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულ აუდიოჩანაწერებს მიზანმიმართულ პროვოკაციად აფასებს.

როგორც დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ის ამ საკითხს ყურადღებას მიაქცევს, რომ მსგავსი რამ არ განმეორდეს.

„ყველა მსგავს საკითხთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია არის უცვლელი, რომ როცა რაიმე სახის შესაძლო სამართალდარღვევაა, უმჯობესია საქმე სამართალდამცველებმა გამოიძიონ. მე გავეცანი მასალებს და ვაპირებ რომ ყურადღება მივაქციო იმას, რომ მსგავსი რამ არ განმეორდეს. ეს არის წინასწარ მომზადებული პროვოკაცია და ორივე მხარემ უნდა აგოს პასუხი“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მერიის თანამშრომლებმა აუდიოჩანაწერები გამოაქვეყნეს, სადაც აცხადებენ, რომ მათზე ზეწოლა ხორციელდება.

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების გარეშე ქართული სახელმწიფო ვერ აშენდება

ალნიშნული განცხადება პარლამენტის დიასპორის და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გუბაზ სანიკიძემ დიასპორის საკითხთა აპარატის დაფინანსების გაზრდის თემაზე საუბრისას გააკეთა.

კომიტეტის სხდომაზე სანიკიძემ ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემატიკაზეც გაამახვილა ყურდღება და აღნიშნა, რომ საქართველო პენსიონერების ქვეყნად იქცა. როგორც გუბაზ სანიკიძემ განმარტა, მეზობელი ქვეყნები, მათ შორის, აზერბაიჯანი ემიგრანტებზე ნახევარ მილიარდ დოლარს ხარჯავს, ხოლო სომხეთში ეს თანხა დაახლოებით 200 მილიონს შეადგენს.

„ძალიან ხშირად აქცენტების გაკეთება გვიჭირს ხოლმე, რაც შეიძლება თქვენთვის არ იყოს მნიშვნელოვანი, ის შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანია. დავკარგავთ ჩვენ იმ ხალხს და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქვეყანა უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების გარეშე არ აშენდება. ვერ მოვახერხებთ ჩვენ ამას აქ, ადგილზე დარჩენილი ქართველებით. მათ აქვთ ძალიან დიდი გამოცდილება, გავლილი აქვთ დიდი ცხოვრებისეული გზა. ჩვენზე უკეთ იციან, რა არის ევროპა, დასავლეთი. ისინი უნდა იყვნენ ახალი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ავანგარდში“, — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ კომიტეტის სხდომაზე.

მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დიასპორის და კავკასიის საკითხთა კომიტეტი 2015 წლის საბიუჯეტო პროექტს მხარს დაუჭერს, მაგრამ თუკი 2016 წლის დაფინანსებაც ანალოგიური მოცულობის იქნება, მაშინ ბიუჯეტი კომიტეტისგან მხარდაჭერას ვერ მიიღებს.

„ამას ჯობია საერთოდ გავაუქმოთ სამინისტრო და თუ სამინისტრო გაუქმდება, შესაძლოა, კომიტეტიც გაუქმდეს“, — დასძინა გუბაზ სანიკიძემ.

ბათირაშვილი რუსეთს ემუქრება



გამოცემა „ბლუმბერგის“ ინფორმაციით, „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთმა სამხედრო მეთაურმა თარხან ბათირაშვილმა, იგივე ომარ ალ-შიშანმა, მამასთან სატელეფონო საუბარში განაცხადა , რომ მათი შემდეგი სამიზნე რუსეთი იქნება.

გამოცემის ინფორმაციით, თარხან ბათირაშვილმა მამას სატელეფონო საუბრისას აცნობა, რომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ გაანადგურა ერაყის არმია და ქალაქი მოსული აიღო, ბოლოს კი დასძინა, რომ რუსეთი შემდეგი იქნება.

„ათასობით მიმდევარი მყავს და კიდევ უფრო მეტი მეყოლება. რუსეთისთვის სამაგიერო გვაქვს გადასახდელი. არ იდარდო მამა, ჩამოვალ და რუსებს მოვუვლიო“, — ციტირებს „ბლუმბერგი“ თარხან ბათირაშვილის მამის, თემურ ბათირიშვილის კომენტარს.

სირიაში მებრძოლი თარხან ბათირაშვილის ოჯახი პანკისში ცხოვრობს. რამდენიმე კვირის წინ თარხან ბათირაშვილი, იგივე ომარ ალ-შიშანი აშშ-ის ფინანსთა დეპარტამენტის „შავ სიაში“ მოხვდა. როგორც აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს განცხადებაში იყო აღნიშნული, თარხან თემურის ძე ბათირაშვილი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ორგანიზაცია „სირიისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ხელმძღვანელთა რიგებში ირიცხება და არაერთი თავდასხმის ორგანიზატორია.

დასუფთავების მოსაკრებელი

მეწარმეთა მორიგი უკმაყოფილება გარანტირებულია!

და აი, რატომ: ძნელია, ყველა სფეროში თვალყური ადევნო დადგენილებებსა და წესების შემოღების პროცესს, მით უმეტეს, რომ იმ მეწარმეთათვის, ვისაც იურიდიული სამსახური არ გააჩნია. როგორც ჩვენთვის 7 ოქტომბერს გახდა ცნობილი („თბილსერვისის“ შემმოწმებლებისაგან) ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 31 მაისს ზაალ სამადაშვილის ხელმოწერით მიღება გადაწყვეტილება (№7-22) რითაც გაიზარდა დასუფთავების მოსაკრებელი, თუმცა დღემდე დასუფთავების სამსახური შპს „თბილსერვისის ჯგუფი“ ჩვენთან არსებული ხელშეკრულებით ელექტროენერგიის გადა-

სახადთან ერთად გვახდევინებდა დასუფთავების თანხას. მრავალი მეწარმე დამეთანხმება, რომ ამაზე აქამდე არავის ერთი შენიშვნაც არ მიუღია.

საინტერესო ის გახლავთ, რომ ამ დადგენილებას ინსტრუქცია ჰქვია, რამდენად ცნობილია, ინსტრუქცია კი საკითხებში კარგად გარკვევას და განმარტებას ნიშნავს, თუმცა ამაზე არავის უზრუნია.

2014 წლის 7 ოქტომბრიდან „თბილსერვისის“ წარმომადგენლები დადიან ორგანიზაციებში შესამოწმებლად და ითხოვენ ნაგვის გადასახადს ახალი ტარიფებით, თანაც გასულ პერიოდსაც უმატებენ, თანხები გადაანგარიშებით საკმაოდ მაღლა იწევს, რაც მეწარმეთა შენიღბული დაჯარიმების ტოლფასია. რაც ახალ უკმაყოფილების ტალღას გამოიწვევს, რადგანაც მაგალითად, 1 მეტრი სავაჭრო ფართობი 0,95 თეთრია ყოველთვიურად. სამწუხაროდ, უხეირო ტრადიცია გრძელდება.

მალხაზ დოლიძე,
მეწარმე.

კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ტელევიზორი მეორე არხზე იყო ჩართული, ჯერ სევდია უგრეხელიძე ტიტინებდა, შემდეგ ირმა ნადირაშვილი ტლიკინებდა, მერე გიორგი ბეჟაშვილი ჯაჯღანებდა, მერმე ზურაბ ჯაფარიძე ჯუჯღუნებდა...

რა ხდება, დროის მანქანა ხომ არ გამოიგონეს და ხომ არ „დაგვზადნეს“?

ერთი ქუცნაშვილი მაინც გამოერიათ, წამლად და იმედად.

● „იმედი“, რომელიც თვლის, რომ ტელევიზიაა, საგარეო და ეკონომიკური საკითხების განსახილველად ირჩევს მაინცდამაინც ჭიაბერაშვილს და მთელი ათი წუთი აფუჭებს ჰაერს (ეთერს)!

● ეს ალექს პეტრიაშვილი, თავის პარტიაგენოსესთან ერთად, გადამალეთ სადმე, ვიდრე რაღაც დიდ შარში არ გაგვხვია!

გადასამალავი კიდევ ბევრია!

● ჩავანაცვლებ არსებულ მრჩეველს ნახევარ ხელფასად დანამატის გარეშე, უკეთესი შედეგის გარანტიით.

● სიგარეტს რატომ აძვირებთ — მხოლოდ მერიის თანამშრომლები გინდათ დაწამლოთ?

● 5 და 10 ლარით პენსიას გავზრდითო. სულ ნუ გაზრდით და როცა საშუალება, იქნება ნორმალურად გაზარდეთ. 10 ლარით გაზრდა ხალხის დაცინვაა, ვერ ხვდებით?

● ველოდები ერთ ნამუსიან ჩინოვნიკს, რომელიც უარს იტყვის ამ დანამატზე და გააკეთებს განცხადებას, რომ როდესაც მოსახლეობა ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაშია, უზნეობაა ამხელა თანხების აღება.

ახლა არ დამიწყოთ, შენც მეოცნებე ხომ არ გახდიო.

● რა მაგარია რა...თურმე საკრებულოს დეპუტატები ხალხს რომ ხვდებიან, 50—50 ლარს იღებენ დამატებით ხელფასის იქით... მოვალეობა კი არა, ბიზნესია დეპუტატობა, ბიზნესი!..

● მოვითხოვ, ვიცე-მერს (ზოგადად, ვინც იქნება!!!) გარდა ხელფასისა და ხელფასზე ყოველთვიური დანამატისა, კვარტალური და წლიური პრემიების გარდა, დაემატოს თვიურიც!!!

კიდევ — თუ რაიმე სახის დახმარება იქნება — მაკარონი, ზეთი, სველი ხელსახოცები, ტუალეტის ქაღალდი — გადაეცეს ისევე, როგორც გადაეცემათ სოციალურად დაუცველებს!!!

● ეკა გიგაურმა მინისტრების საბანკო კრედიტების საკითხი ხომ „გაარკვია“, და ახლა „ოდეერების“ თემით დაინტერესდა!

ეკა, ეგენი „ოდეერები“ კი არა „ნასედკები არიან და თუ აწყობს ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომ „ნასედკები“ ჰყავდეს თანამშრომლებს შორის, შენ ვინ გეკითხება?

მოკლედ, ჩემო ეკა, „ნი სუი სვოი ნოს ნი ვ სვაი ძელა“ და მეც ნერვებს ნუ მიშლი შენი ძალიან უაზრო და გაურკვეველი აქცენტით!

● ეეჰ, კი ვიძახით საწყალი უკრაინელები, ჩვენ წინა ვართ, ეგ გზა გავლილი გვაქვსო, მაგრამ აგე რა კოსტად მიიღეს ლუსტრაციის კანონი!

იანუკოვიჩის მოხელეები ახალ ხელისუფლებაში ვერ იმუშავებენ!

ჩემი ქართული ოცნება!!!

აუ, რას დაგვხატავდა ეგეთი კანონი!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

სოსო არჩვაძე:

საჯარო მოხელეს მხოლოდ ფინანსური სარგებელი არ უნდა ამოძრავებდეს

ინგლისის დედოფალი ომის დროს ცეცხლს არ ანთებინებდა თავის ბუხარში. განა გაჭირდებოდა დედოფლის გასათბობად შეშის გამოძებნა, მაგრამ... არა, დედოფალი ხალხის საერთო გაჭირვების მიმართ სოლიდარობას ამ ფორმით გამოხატავდა. ისტორიის ამ ფაქტის გახსენება დასჭირდა ეკონომიკის დოქტორ სოსო არჩვაძეს ჩვენთან საუბრისას, როცა მას უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში ვეწვიეთ ექსკლუზიური ინტერვიუს ჩასაწერად.

თემა საკმაოდ ბანალურია. მერიის მაღალი თანამდებობის პირებისთვის დიდი დანამატების გამოწერამ (გარდა მერისა) საზოგადოების უმეტესობა კვლავ ააღელვა. მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით თითქოს უნდა მოწესრიგებულიყო და სამართლებრივ ჩარჩოში მოქცეულიყო პრემიებისა თუ დანამატების ასე ხელაღებით გაცემის საკითხი, მერიის ახალი მთავრობის მიერ გამოცხადებულმა ახალმა დანამატებმა ამომრჩეველი კვლავ გაოცებული დატოვა (გაოცებული თუ იმედგაცრუებული, ესეც გასარკვევია).

— ეს საკითხი განიხილება, როგორც სახელფასო პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილი. ზოგჯერ არის ხოლმე, როცა დოგმატური დოკუმენტები საჯარო სექტორში ვერ ითვალისწინებს ყველა სპეციფიკას, რითაც არის დატვირთული საქმიანობის ესა თუ ის სფერო და ფორმა. მაგრამ თუ გლობალურად შევხედავთ საკითხს, რა თქმა უნდა, ეს სეგმენტი მოითხოვს მოწესრიგებას იმისთვის, რომ საზოგადოებაში არ დარჩეს კითხვის ნიშნები, უკმაყოფილების განცდა.

თავისთავად, შრომის ანაზღაურება რომ უნდა იზრდებოდეს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ის, რომ ადამიანები სტიმულებზე რეაგირებდნენ. სათანადო სტიმულების გარეშე წარმატება შეუძლებელია საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, მით უმეტეს, იმ სფეროში, რასაც ეკონომიკური საქმიანობა ჰქვია. მაგრამ საჯარო სექტორი ამ მხრივ სპეციფიკურია. აქ აპრიორი იგულისხმება, რომ თანამშრომლები და თანამდებობის პირები უნდა საქმდებოდნენ არა მარტო ანაზღაურებისთვის, არამედ ისინი გარკვეული იდეოლოგიური კონცეფციის მატარებლებიც უნდა იყვნენ. უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, სურვილი და რეალური გამოხატულება, რომ მათი „შრომა ერთვის რესპუბლიკის შრომას“. ამიტომ საჯარო მოხელის მოტივაცია ეკონომიკური ფინანსური სარგებლის მიღებაზე მეტი უნდა იყოს.

თუ დაბალი ხელფასი იქნება, სამუშაოს კვალიფიციური კადრები დატოვებენო, ცოტა არ იყოს უტრირებული დამოკიდებულებაა. თუ იდეური დატვირთვა არ აქვს საჯარო მოხელეს, მაშინ ის არის მედროვე, რომელიც ცდილობს, დაკავებული თანამდებობიდან მაქსიმუმი „გამოწუროს“.

იმასთან ერთად, რომ უნდა მოწესრიგდეს სახელფასო პოლიტიკა, პრემირების სისტემა, ჩემი აზრით, ასევე საჭიროა, მეტი გულისყურით შეირჩნენ ის მოხელეები, რომლებიც თანამდებობის პირები ხდებიან.

— როგორ აწესრიგებენ ასეთი სახის პრობლემებს სხვა ქვეყნებში?

— როგორც წესი, დასავლეთის განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ხელფასები საჯარო სექტორში გაცილებით დაბალია, ვიდრე კერძო სექტორში. მაგრამ მოხელეს აქვს პრესტიჟულობა, რადგან ის ასრულებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან და საჭირო საქმეს. ჩვენთან კი საჯარო სამსახურში დასაქმებამ ჰიპერტროპული ფორმა მიიღო, რადგან აქ არის ორი მთავარი განსაზღვრული ფაქტორი — ერთის მხრივ, მაღალი შემოსავალი, ხოლო მეორეს მხრივ მაღალი სოციალური დაცულობა, რაც ნორმალური საბაზრო პირობების ქვეყნებში არ ხდება. იქ საჯარო სექტორში არის მაღალი სოციალური დაცულობა, მაგრამ შედარებით მოკრძალებული ხელფასი. მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტისა და აზერბაიჯნის პრეზიდენტის ხელფასები თითქმის თანაბარია.

— აქ, ალბათ, ქვეყნის მმართველობის სტილიც განმსაზღვრელია?

— მოდით, ასე ვთქვათ, ცხოვრების დონესთან შედარებით მაღალი ხელფასები საჯარო სექტორში იმ ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი, სადაც საბაზრო ეკონომიკა და დემოკრატიული ინსტიტუტები ჯერ კიდევ განვითარების სტადიაზეა; მათ შორის არის — საქართველო.

— და რახან სხვა ქვეყნებზე ვსაუბრობთ... განვითარებულ ქვეყნებში როგორია შესაბამისობა ვთქვათ, პენსიას, პადაგოგის ხელფასსა და საჯარო მოხელის ანაზღაურებას შორის?

— ევროპაში ეს განსხვავება დაახლოებით ათჯერადია. მე ვგულისხმობ მინისტრებისა და დეპუტატების ხელფასს. თორემ რიგითი თანამდებობის პირების და პენსიონერების შემოსავლებს შორის განსხვავება 4-5-ჯერ ნაკლებია დაახლოებით.

— როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა სათავეში, მისი ერთ-ერთი დაპირება იყო სოციალური თანასწორობა. პრეზიდენტის ხელფასი შემცირდა, გააერთიანეს პრემიები და დანამატები და შეკვეცეს, თუმცა, აღმოჩნდა — ფორმალურად, რადგან ცუდი ტენდენცია ისევ გრძელდება. რასთან გვაქვს საქმე, თქვენი აზრით, რით ვერ ისწავლეს ჭკუა?

— არ მინდა, ვიფიქრო, რომ სიხარბესთან გვაქვს საქმე. უფრო, არაკომპეტენტურობის ბრალია. არ იციან, რა ფორმით მოახდინონ მაღალი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის პირთა სტიმულირება. საჯარო მოხელეს უნდა ჰქონდეს ისეთი ხელფასი, რომ ღირსეული ცხოვრება და თავის წარმოჩენა არ გაუჭირდეს. არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ თანამდებობის პირთა გარკვეული მომსახურების ხარჯებს სახელმწიფო თავის თავზე იღებს. გადაადგილება, კომუნიკაცია, მივლინება და სხვა. პირობითად თუ ვიტყვით, ლარის მსყიდველობითუნარიანობა მაღალი თანამდებობის პირებისათვის გაცილებით მაღალია (ისინი ას ლარზე მეტი დოვლათის მომხმარებლები არიან, ვიდრე იმავე შემოსავლების მქონე სხვა პირები). ამიტომ, მეტი მუშაობაა საჭირო. მეტი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება უნდა ავიღოთ განვითარებული ქვეყნებიდან.

— რას იტყვით იმაზე, რომ ხელისუფლების ცვლილებას, ყოველთვის თან სდევს ხოლმე მთელი საშტატო ერთეულების ცვლილება?

— არ არის მართებული. ეს არის უწყებრივ-კლანური მმართველობის თავისებური ფორმა, როცა იცვლება მაღალი თანამდებობის პირი და მოჰყავს თავისი გუნდი. გუნდურობა საყოველთაო ხასიათისა არ უნდა იყოს. მართვის, მენეჯმენტის მსოფლიო ისტორია ასაბუთებს, რომ როდესაც ხდება გამოცდილი კონტინგენტის 30-პროცენტიანი ცვლილებაც კი, ეს მართვის ეფექტიანობას ამცირებს და საჭირო ხდება ახალი ურთიერთობების აგება. რა თქმა უნდა, ევოლუცია აუცილებელია, ერთი უნდა მიდიოდეს და მეორე მოდიოდეს, მაგრამ ეს რომ თანამდებობის პირის ცვლილებას უკავშირდებოდეს, დაუშვებელია.

— მაგრამ, ამბობენ, რომ ვთქვათ, მერიაში ნაციონალების იდეოლოგიურად მხარდამჭერი გუნდი, შეგნებულად თავს არიდებდა მოვალეობის შესრულებას ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ანუ ერთგვარ დესტრუქციას ჰქონდა ადგილი. ასეთ დროს, რა უნდა ქნას მენეჯერმა?

— ეს უკვე სხვა საკითხია. თუ ვინმე თავის მოვალეობას არ ასრულებს, უნდა დაითხოვონ და პასუხისმგებლობაც უნდა მოეთხოვოს.

— მერი არ იღებს დანამატებს, მაგრამ იღებენ მისი მოადგილეები, განყოფილების უფროსები, სპეციალისტები. ეს არ ეხებათ დაბალი რანგის პირებს, ტექნიკურ მუშაკებს, დამლაგებლებს, მძღოლებს. რასთან გვაქვს საქმე?

— იცით, როდესაც მატარებელი ჩერდება გრძელი 60-ვაგონიანი ლოკომოტივის დამუხრუჭებას 800-1500-მეტრამდე მანძილის გავლა სჭირდება. ახალ მერს ეს პერიოდი უდგას ახლა. ხომ გაგიგიათ: შეუჩვეველს ნუ შეაჩვევ და შეჩვეულს ნუ გადააჩვევო. ალბათ, დადგება დრო და ის შეძლებს ისეთი სისტემის გამოყენებას, რომ ასეთ საკითხებზე რაც შეიძლება ნაკლები უკმაყოფილება გაჩნდეს საზოგადოებაში. მე ამის დიდი იმედი მაქვს.

— ბატონო სოსო, თუკი ექსპერტებს მოვუსმენთ, 2015 წელი გარდამტეხი იქნება, ნაწილის აზრით, დადებითად განვითარდება პროცესები, ხოლო ზოგიერთი — პირიქით ვარაუდობს. როგორია თქვენი შეხედულებები?

— იმის თქმა, რომ იოლი იქნება, რთულია. იოლი არ იქნება, იქნება საინტერესო და ასევე, იქნება ეკონომიკური ზრდაც. ეს შემიძლია აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვნად განვაცხადო.

— მაგრამ, როცა შეიძლება მომავალი წლის პენსია გაიზარდოს 5 ან 10 ლარით, ხოლო ამის პარალელურად პრემიებისა და დანამატების ოდენობა ათასებით განისაზღვრება, შეიძლება ეს პროცესი ეკონომიკურ ზრდას დავუკავშიროთ?

— ცოტა არ იყოს, რთული შედარებაა. ქვეყანაში 800 ათასი პენსიონერია. პენსიის 10-ლარიანი ზრდა მოითხოვს ბიუჯეტის ცვლილებას, რამდენიმე მილიონიანი დამატებითი ხარჯი. რაც შეეხება მინისტრებს, მათი რაოდენობა შეზღუდულია და თუნდაც ხელფასის თუ პრემიის 1000-ლარიანი დამატება, დიდ გავლენას ვერ მოახდენს.

— რატომ, 300 ათასი საჯარო მოხელე გვყავს...

— არა, ბოლო მონაცემებით, მხოლოდ 100 ათასზე ცოტა მეტი საჯარო მოხელე იღებს ბიუჯეტიდან ფულს. ანუ, მე იმის თქმა მინდა, რომ პენსიონერისთვის 10 ლარით პენსიის მომატება უფრო ძნელია, ვიდრე საჯარო მოხელისთვის პრემიის გაცემა. თანაც, საჯარო მოხელეებზე გაცემული თანხა პენსიონერებზე რომ გადაანაწილონ, დავითვალეთ და აღმოჩნდა, რომ პენსია გაიზრდება 20-25 თეთრით.

რა თქმა უნდა, მე ამით როდი ვამართლებ დღევანდელ საჯარო მოხელეთა ქმედებებს. რადგან თანამოქალაქეები ვართ, ჩვენი ცხოვრების არსებობის პირობები შედარებითი უნდა იყოს. დღეს რა ხდება საქართველოში? ყველაზე მდიდარი, მაღალშემოსავლიანი თანამდებობის პირების 10 პროცენტის შემოსავლი დაახლოებით 18-ჯერ აღემატება დაბალი შემოსავლების მქონეთა ფინანსებს. ფაქტობრივად, ყალიბდება სხვა მოხმარებისა და ქცევის კულტურა. მათ აერთიანებთ მხოლოდ საერთო მიწა და ჰაერი. დანარჩენი — მათი ქცევის ფორმები, ინტერესები, ფასეულობები განსხვავებულია. ასეთ პირობებში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება გაძნელდება. იმიტომ, რომ სუბიექტები, საიდანაც უნდა შეიქმნას ერთობლიობა, დიამეტრალურად განსხვავებულ პრობლემებს აწყდებიან და წყვეტენ. ასეთ დროს კი წარმოუდგენელია საზოგადოების ერთ მუშტად შეკვრა.

ესაუბრა
თეა მოსია

◎ ალიანჩალიანი

საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა. მისი თქმით, ბოლო პერიოდში საქართველოში ბავშვთა სიკვდილიანობაც შემცირდა.

„ბოლო წლების განმავლობაში საბედნიეროდ ტენდენცია არის, რომ საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა. ეს ძალიან სასიხარულია. ასევე არის ტენდეცია, რომ ბავშვთა სიკვდილიანობა შემცირებულია, თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ საშუალო დონეზე მისულები, მაგრამ ეს დინამიკა დაწყებულია. ამასთან, პენსიონერების რაოდენობა უკვე გაზრდილია 8 ათასი ადამიანით. ეს ადამიანები შეიძლება ქვეყნის მასშტაბით სტატისტიკურ პარამეტრებს არ ცვლიან, მაგრამ თითოეული ადამიანის სიცოცხლე არის უმნიშვნელოვანესი“, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

მისივე თქმით, 8 ათასით მეტი პენსიონერი ნიშნავს იმას, რომ თვეში მილიონ 200 ათასით მეტი და წელიწადში 14 მილიონ ნახევარი ლარით მეტი საპენსიო გასაცემელი უნდა გაიცეს.

„დღეისათვის საქართველოში 690 ათასი პენსიონერია და წელს ეს რიცხვი 8 ათასით გაიზარდა. პენსიის გაზრდასთან დაკავშირებით არის ორი გზა, ერთი არის, რომ ბიუჯეტი გაუთავებლად ვზარდოთ და მეორე, შეიცვალოს მეთოდოლოგია და ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყოს იმის განხორციელება, რაც არის დაგროვებითი პენსია, რეალურად ჩვენ რაც გვაქვს, ეს არის სოციალური დახმარება ასაკის გამო და არა პენსია. მთავრობა მუშაობს ორივე მიმართულებით, ეკონომიკური ბლოკიც მუშაობს ჩვენთან ერთად დაგროვებით პენსიაზე, ეს არ არის ერთი თვის და ერთი დღის საქმე“, — აღნიშნა სერგეენკომ.

თბილისში საქართველო-სინგაპურის ბიზნეს-ფორუმი გაიმართა

ფორუმის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ქეთევან ბოჭორიშვილმა და სინგაპურის ბიზნეს-ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ჰო მენგ კიტმა მიმართეს. ფორუმის დასრულების შემდეგ საქართველოსა და სინგაპურის საქმიან წრეებს შორის პირისპირ შეხვედრები გაიმართა. სინგაპურის ბიზნესის წარმომადგენლების განსაკუთრებულ ინტერესს ენერგეტიკა, წარმოება, ლოგისტიკა და საფინანსო სფერო წარმოადგენდა.

ფორუმის ფარგლებში ასევე ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ქართულ კომპანიას, „ალიანს ჯგუფ ჰოლდინგსა„ და სინგაპურულ საფინანსო კომპანიებს Vector Scorecard Global (ISG) და Gauthamma International შორის. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს თანამშრომლობის გაძლიერება ორი ქვეყნის საქმიან წრეებს შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და მცირე და საშუალო ბიზნესების ხელშეწყობის მიმართულებით.

საქართველო-სინგაპურის ბიზნეს-ფორუმი საქართველოში სინგაპურის ბიზნეს-ფედერაციის ვიზიტის ფარგლებში გაიმართა, რომლის ორგანიზატორია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სსიპ საქართველოს მეწარმეობის განვითარების სააგენტო.

ინტერპრესი

◎ ვინ როგორ ხედავს

მთავრობის ორი შეცდომა

ექსპერტი რამაზ გერლიანი „ოცნების“ საქმიანობას უარყოფითად აფასებს

— შევაჯამოთ ახალი ხელისუფლების მუშაობის ეს ორწლიანი პერიოდი, რა გაკეთდა და რა შენიშვნები გაქვთ?

— მთავრობის მუშაობის ამ ორწლიან მონაკვეთზე რეალურად ეკონომიკური მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, ძალიან ძნელია, რომ დადებთად დახასიათდეს.

ამ შემთხვევაში საუბარია იმ გუნდზე, რომელიც ხელმძღვანელობს ეკონომიკურ მიმართულებას, ვინაიდან მოგეხსენებათ, რომ ციფრებით იზომება ეკონომიკა, დავიწყებ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებიდან, რომელიც ჩამორჩება რეალურად დაგეგმილს.

შარშან, 2013 წელს ძალიან დაბალი იყო, წელს ალბათ 5 %–იან ნიშნულსაც კი ვერ შეწვდება. იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკის ზრდის პრობლემატიკა ნათლად იკვეთება და ამავდროულად, რაც მთავარია, ეკონომიკური მიმართულებით ძირითადად შემოტანა ხორციელდება გარკვეული რეგულაციებისა, რომლებიც შემდგომ ძალიან უშლის ხელს ეკონომიკის განვითარებას. მათ შორის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, წარმოებას, ვაჭრობის შეზღუდვას და ა.შ.

— რომელ რეგულაციებს გულისხმობთ?

— დავუშვათ და თუნდაც შესაბამისი სავიზო რეჟიმის გამკაცრება, რომელმაც პირდაპირ გავლენა იქონიეს ამ შემთხვევაში ბიზნესმენებსა და იმ საქმიან ადამიანებზე, რომლებსაც საქმიანი ურთიერთობა ქონდათ ჩვენს ქვეყანაში, თუნდაც ეთნიკური ქართველები, რომლებიც იყვნენ სხვა უცხო ქვეყნის მოქალაქეები, იმათთვის ეს გარკვეული შეზღუდვაა და შესაბამისად და ეს უკვე პირდაპირ ბიზნესსა და ეკონომიკურ საქმიანობას ეხება. შესაბამისი ინიციატივები, რომლებიც უკვე ანგარიშებზე წვდომის საკითხს ეხება, ესეც რასაკვირველია, შეცვლის ფინანსური ნაკადების ვექტორს და საბოლოო ჯამში ალბათ გარკვეული ინვესტიციების შეზღუდვაშიც გამოისახება.

ჯერჯერობით სამწუხაროდ, მათ შორის ეკონომიკური მიმართულებით მუდმივად გვესმის, რომ ეს შეიზღუდება. ძირითადად შეზღუდვებზეა საუბარი. ჯერჯერობით არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც გაკეთებულა კომენტარი, ან ყოფილიყო განსჯა იმისა, რომ რა გავაუქმოთ, რითაც გავამარტივებთ რეალურად ეკონომიკურ და ბიზნესაქტივობას და მისი მოქმედების არეალს გავაფართოვებთ.

უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი ეკონომიკის თავისუფლებისთვის სახელმწიფომ უნდა შექმნას ნიადაგი და ამ მიმართულებით საჭიროა გარკვეული ლიბერალური ელემენტების შეტანა როგორც ადმინისტრაციულ სფეროში, ისე თუნდაც ბიზნესის ხელშეწყობის კუთხით და უამრავი სხვა მიმართულებით.

— თუმცა, დაწყებულია გარკვეული პროექტები, რომელიც ბიზნესის ხელშესაწყობად დაიგეგმა?

— კი, რასაკვირველია, დაწყებულია, ვინაიდან 2 წლის მუშაობას ვაფასებთ, მე აბსოლუტურად სხვა დამოკიდებულება გამაჩნდა 1 წლის თავზე, როდესაც ჯერ კიდევ ასე თუ ისე, 2 პოლიტიკური ძალა ერთმანეთში პაექრობდა. დღეს, როდესაც 2 წელი თითქმის საშუალო ვადიანი დაგეგმარების პერიოდის ნახევარი გასულია, რა თქმა უნდა, მეტად კრიტიკული ვიქნები, ამის უფლებას მივცემ თავს და ამის საფუძველს ზუსტად ეკონომიკის ეს ძირითადი მაჩვენებლები იძლევიან.

— და რაც შეეხება სოციალურს, სოციალური მიმართულებით რას გვეტყოდით?

— სოციალური მიმართულებაც გარკვეულწილად ეკონომიკაზეა დამოკიდებული. არის გარკვეული ძვრები. მეტნაკლებად პრობლემები ყოველთვის იქნება და ახლაც არის, თუნდაც ჯანდაცვის სფეროში, თუმცა, განვლილ ეტაპებთან შედარებით მუშაობა, ასე ვთქვათ, რითაც ეს ხორციელდება, შეიძლება დადებითად შევაფასოთ.

— რას გულისხმობთ?

— საყოველთაო დაზღვევას. თუმცა ამავდროულად, აღსანიშნავია ის, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში რეალურად პენსიების ზრდა ვერ განხორციელდა. მთავრობა ბრძანებს, რომ ჩვენ გავუტოლდით საარსებო მინიმუმს, თუმცა, ჩვენ ყველამ ვიცით, ჩვენმა ორგანიზაციამ, ექსპერტთა ცენტრმა დათვალა ეს საარსებო მინიმუმი და ის ორჯერ მეტია დღევანდელი პენსიონერის პენსიაზე.

ეს სოციალური მიმართულების პოლიტიკის დიდ ხარვეზზე მიუთითებს და არა იმაზე, რომ რეალურ საარსებო მინიმუმზე, რომ სწორება მოხდეს თუნდაც აი, ამ საარსებო მინიმუმთან, რომელიც მართლაც რეალურია და რომლის დათვლაც, მიუხედავად მათი გაცხადებული მზაობისა, დღემდე 2 წლის თავზე არ მომხდარა.

არის გარკვეული დადებითი ელემენტებიც, რომლებიც შემიძლია აღვნიშნო.

თუნდაც საინვესტიციო მცდელობა და სანვესტიციო ფონდები, რომლებმაც რაღაც პროექტებიც დაამტკიცეს, თუმცა, მათი მუშაობაც ამ ეტაპზე შეზღუდულია და შეზღუდულია სწორედ იმ არსებული მიზეზების გამო, რომელიც მე ჩამოვთვალე, რომლებიც ვერ ახორციელებენ რეალურად საინვესტიციო პოლიტიკას.

მეტი მუშაობაა საჭირო თუნდაც ბიზნესის მთავარ ელემენტზე, როგორიცაა კერძო საკუთრება, მის გაფართოებაზე და ამ მიმართულებით, სამწუხაროდ, ნაკლებად მიდის მუშაობა. ეს არის ძირითადი პრობლემები.

commersant.ge

◎ SIC!

ვინ არის მართალი?

„ფაქტ-მეტრის“ გადამოწმებული ხუთი ფაქტიდან ორი განცხადება ტყუილი აღმოჩნდა

3-10 ოქტომბრამდე „ფაქტ-მეტრმა“ 5 ფაქტი გადაამოწმა. სტატიები პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის დეპუტატების განცხადებებს ეხებოდა. გადამოწმებული განცხადებებიდან ერთი სიმართლედ შეფასდა, ერთი — მეტწილად სიმართლედ, ერთი — მეტწილად მცდარად, ხოლო ორი განცხადება ტყუილი აღმოჩნდა.

ყველაზე პოპულარული სტატია ვებგვერდზე მნახველთა რაოდენობის მიხედვით, პარლამენტის ვიცესპიკერის მანანა კობახიძის განცხადებას ეხებოდა. სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 12 სექტემბერს გაკეთებული განცხადების შეფასებისას დეპუტატმა განმარტა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში ფრაზა „პოლიტიზებული სამართლებრივი დევნა“ მხოლოდ იმიტომ არის გამოყენებული, რომ იგი პოლიტიკოსს, კერძოდ, მიხეილ სააკაშვილს ეხება.

„ფაქტ-მეტრი“ ამ საკითხით დაინტერესდა და კვლევის შედეგად გაარკვია, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაკეთებულ განცხადებაში არაორაზროვნად არის გამოთქმული შეშფოთება იმ რისკების გამო, რომელიც პოლიტიზებულმა სამართლებრივმა დევნამ შესაძლოა, საქართველოს დემოკრატიას შეუქმნას. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, მსგავს ტერმინს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი იმ შემთხვევებში იყენებს, როდესაც ის ამა თუ იმ ქვეყანაში პოლიტიკურად მოტივირებულ მართლმსაჯულებაზე საუბრობს, იმისდა მიუხედავად, საქმე პოლიტიკოსს თუ ნებისმიერ სხვა პირს ეხება. ამ ფაქტორების გათვალისწინებით ფაქტ-მეტრმა დაასკვნა, რომ მანანა კობახიძის განცხადება არის ტყუილი.

გასულ კვირას „ფაქტ-მეტრმა“ საპარლამენტო უმცირესობის წევრის გიორგი გაბაშვილის განცხადებაც გადაამოწმა. დეპუტატის თქმით, „სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, არათუ შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა, არამედ ის ვინც დასაქმებულია, იმათი ხელფასები შემცირდა 20%-ით“. „ფაქტ-მეტრთან“ განცხადების დაზუსტებისას დეპუტატმა აღნიშნა, რომ იგი ბიზნეს-სექტორში დაფიქსირებულ მაჩვენებლებს გულისხმობდა. ამ სექტორის კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ 2013 წელს და 2014 წლის პირველ ორ კვარტალში ბიზნეს-სექტორში სამუშაო ადგილების კლება არ შეინიშნება. ბიზნეს-სექტორში გაზრდილია, როგორც მთლიანად დასაქმებულების, ასევე დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვიც. ხელფასების კლებაზე საუბრისას გიორგი გაბაშვილმა კვარტალურ მონაცემთა შედარების არასწორი მეთოდი გამოიყენა და 2014 წლის პირველი კვარტლის მონაცემი მის წინა, 2013 წლის მეოთხე კვარტალს შეადარა. დეპუტატმა მთავარი შეცდომა სწორედ ამ დროს დაუშვა, რადგან მსგავსი შედარება არამართებულია და რეალობას ვერ ასახავს. ობიექტური სურათის მისაღებად ამა თუ იმ კვარტლის მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიურ კვარტალს უნდა შედარდეს. „საქსტატის“ მიერ კვარტლების შედარების რეკომენდირებული მეთოდის მიხედვით, ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის კლება არ შეიმჩნევა. უფრო მეტიც, საშუალო ხელფასი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამ მონაცემების გათვალისწინებით ფაქტ-მეტრმა დაასკვნა, რომ გიორგი გაბაშვილის ეს განცხადება ტყუილია.

გასულ კვირას „ფაქტ-მეტრმა“ პრემიერის განცხადებებიც გადაამოწმა, რომელთაგან ერთ-ერთი სიღარიბის დონის შემცირებას ეხებოდა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, „არსებითად შემცირდა სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა და ეს მაჩვენებელი პრაქტიკულად განახევრებულია“.

როცა პრემიერ-მინისტრი სიღარიბის, პრაქტიკულად, განახევრებაზე მიუთითებდა, ის ათასწლეულის განვითარების მიზნების საქართველოს 2014 წლის ეროვნულ ანგარიშს ეყრდნობოდა. აღნიშნული ანგარიშის თანახმად, სიღარიბის მაჩვენებელი 2006-2012 წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობითაა განხილული. ბოლო, 2012 წლის მონაცემებით, სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა მთლიანი მოსახლეობის 14.8%-ია, ხოლო უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა კი — 3.7%. ათასწლეულის განვითარების მიზნების საქართველოს ეროვნულ ანგარიშში 2012 წლის სიღარიბის მაჩვენებლები 2010 წლის მონაცემებთან არის შედარებული. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს ბოლო წლების განმავლობაში სიღარიბის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც გამოწვეული იყო როგორც 2008 წლის ომის შედეგებით, ასევე 2009 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისით. ამ წელს, საერთო სიღარიბე 21%-ს შეადგენდა. შესაბამისად, 2012 წელს 2010 წელთან შედარებით, საერთო სიღარიბის მაჩვენებელი 1.4-ჯერ შემცირდა. თუმცა, სხვა წლებთან შედარებით, შემცირების ტენდენცია სახეზეა, მაგრამ ის კიდევ უფრო შორს არის განახევრებისგან. მაგალითად, 2006 წელს სიღარიბის მაჩვენებელი შეადგენდა 18%-ს, 2011 წელს კი 17,7%-ს, რასთან შედარებითაც, 2012 წელს დაფიქსირებული 14,8%-იანი მაჩვენებელი, სიღარიბის შემცირების კუთხით, გარკვეულ პროგრესს ნამდვილად ასახავს, თუმცა ფაქტია, რომ სიღარიბე ქვეყნისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავაც რჩება. შესაბამისად, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება მეტწილად მცდარად შეფასდა.

ირაკლი ღარიბაშვილის მეორე განცხადება რთველის მიმდინარეობას ეხებოდა. პრემიერი აღნიშნავდა, რომ „მთავრობის ხელშეწყობით 1 კილოგრამი ყურძნის მინიმალური ფასი 1 ლარია. წელს, როგორც რქაწითელზე, ისე საფერავზე რეკორდული ფასი დაფიქსირდა“. ფაქტ-მეტრის კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მიმდინარე წელს ყურძენზე მაღალი ფასი დაფიქსირდა. ყურძნის ფასი 2013 წელსაც მაღალი იყო. მიმდინარე წელს რთველი სუბსიდირებულია. სუბსიდია 1 კგ საფერავზე 15 თეთრს, ხოლო რქაწითელზე 35 თეთრს შეადგენს. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მთავრობა ყურძენზე სუბსიდიას მხოლოდ იმ პირობით გამოყოფს, თუ ჩაბარებული ყურძნის ფასი 1 ლარზე ნაკლები არ იქნება. შესაბამისად, სახელმწიფოს თავისი წვლილი მიუძღვის ყურძნის მინიმალური ფასის დაწესებაში. რაც შეეხება მოსავალს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით ამჟამად გადამუშავებული ყურძნის რაოდენობა 116 000 ტონას, ხოლო ყურძნის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი 155 მლნ ლარს შეადგენს. ფაქტ-მეტრის დასკვნით ირაკლი ღარიბაშვილის ეს განცხადება სიმართლეა.

ფაქტ-მეტრის მიერ გადამოწმებული კიდევ ერთი ფაქტი „ქართული ოცნების“ დეპუტატის გიგა ბუკიას განცხადებას ეხებოდა. მისი თქმით, „დებატებიც კი არ იყო 2012 წლამდე „რუსთავი-2“-ზე“. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ „რუსთავი-2“-ის პოლიტიკურ თოქშოუებში დებატების ელემენტმა მართლაც იკლო, რაც გიორგი ლაფერაშვილის განცხადებით, გარკვეული ხნით საზოგადოებაში დებატების აქტუალურობის დაკარგვას, პოლიტიკური გადაცემების რიცხვის შემცირებასა და შესაბამისად, გადაცემების ფორმატის ცვლილებას უკავშირდებოდა. თოქშოუების ეთერში დაბრუნების შემდეგ, გიორგი ლაფერაშვილის და ნინო შუბლაძის ინფორმაციით, პრობლემას გადაცემაში მოწვეული პოლიტიკური ძალების უარი ქმნიდა — მონაწილეობა მიეღოთ დებატებში. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ 2004 და 2007 წლებში, 2008 წლის პირველ ნახევარში, 2010 და 2011 წლებში ტელეკომპანიის ეთერი არ ეთმობოდა პოლიტიკურ თოქშოუებს და დებატებიც არ იმართებოდა. ფაქტ-მეტრის დასკვნით, გიგა ბუკიას განცხადების კონტექსტი მთლიანობაში მართებულია და შესაბამისად მისი განცხადებაც მეტწილად სიმართლეა.

◎ სამომხმარებლო კრედიტი

მსესხებლები „დომინანტ მამრია“ ხელში

ცნობილია, რომ მოთხოვნა მიწოდებას და, როგორც შედეგი, ფასსაც განაპირობებს: ბაზარზე პროდუქტის სიუხვისას იგი იკლებს, ხოლო მისი უკმარისობისას მატულობს. მრავალი ექსპერტის აზრით, სამომხმარებლო (და არა მარტო ამ ტიპის) კრედიტების სიძვირე საქართველოში სწორედ ამ უკანასკნელი გარემოებითაა განპირობებული. აღსანიშნავია ისიც, რომ სამომხმარებლო კრედიტებზე მაღალი საბანკო განაკვეთი ქვეყანაში რისკ-ფაქტორთა ერთობლიობის მაღალი დონითაცაა განპირობებული (ამის მაგალითად 2008 წლის აგვისტოს ომი გამოდგება).

სად უფრო მეტად უჭირს ხალხს – საქართველოში თუ ავღანეთში?

მაღალ საპროცენტო განაკვეთს კიდევ რამდენიმე სხვა, გაცილებით უფრო სუბიექტური ფაქტორიც განაპირობებს, თუმცა მათზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

მსოფლიო ბანკის შარშანდელი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, **რეალური საპროცენტო განაკვეთის სიძვირით საქართველო პირველ ოცეულშია. ამ მაჩვენებლით ჩვენ მარტო სამეზობლოში კი არა, ევროპაშიც „გამორჩეულები“ ვართ იმის მიუხედავადაც, კი, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი მცირდება(?!).**



კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, საქართველოში გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 17,7 პროცენტი, მოკლევადიანზე კი სულაც 28,7 პროცენტია. შედარებისთვის ვიტყვით, რომ მეზობელ სომხეთში სამომხმარებლო სესხებზე საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ 19 პროცენტია, აზერბაიჯანში იგი 14,3 პროცენტიდან, რუსეთში — 13 პროცენტიდან, თურქეთიდან კი სულაც 10 პროცენტიდან იწყება. კიდევ უფრო მუქ ფერებში გამოჩნდება სურათი, თუკი თვალს ევროპის ქვყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს გადავავლებთ: ყველაზე ძვირიანი სამომხმარებლო სესხები სლოვაკეთშია (10,4 პროცენტი), ყველაზე იაფი კი ფინეთში 2,37 პროცენტი.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, წლევანდელი პირველი სექტემბრისთვის, ქვეყანაში მთლიანად გაცემული იყო დაახლოებით მილიარდ 992 მილიონი ლარი სამომხმარებლო კრედიტი, მათ შორის, გრძელვადიანი სესხების მოცულობამ შეადგინა მილიარდ 615 მილიონი ლარი, მოკლევადიანებისამ — 577 მილიონი ლარი.

ზემოთ საქართველოში სამომხმარებლო სესხებზე გადაჭარბებულად მაღალი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამომწვევ მიზეზები და ამის ხელშემწყობი გარემოებები ვახსენეთ და ისიც ვთქვით, რომ საკითხს კვლავ დავუბრუნდებოდით. ვისაც ბანკში დეპოზიტი გაუხსნია, იცის, რომ მის მიერ წლიურად მისაღები სარგებელი საშუალოდ სადღაც 5-7 პროცენტის შუალედში მერყეობს, თუმცა კი, ეროვნულ ბანკს ამაზე კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებელი მოჰყავს. ამავე დროს, სესხებზე საშუალო განაკვეთი 17 პროცენტს აჭარბებს, ანუ ამ შემთხვევაში ეგრეთ წოდებული სპრედი, ანუ განსხვავება სესხსა და დეპოზიტს შორის სამჯერ და ზოგჯერ მეტად უფრო დიდია, მაღალი საბანკო ადმინისტრაციული ხარჯის გარდა, რომელიც მოსამსახურეთა სოლიდური ანაზღაურებით, მაღალი რეგულარული პრემიებით, კორპორატიული სამედიცინო და სხვა სახის დაზღვევისა და კიდევ სხვა ტიპის გასავლითაა განპირობებული ამასთან, ბანკირებს კრედიტების რისკების პრემიებიც გაუმართლებლად მაღალი აქვთ.

რისკის პრემია — ესაა სხვაობა კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების საშუალო შეწონილ განაკვეთსა და სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების განაკვეთებს შორის. განმარტების სახით კი ვიტყვით, რომ ეს უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა იმავე კომერციული ბანკების მიერ სახელმწიფოსთვის ნასესხები ფული: შარშან ეკონომიკის საჭიროებებისთვის გაცემული სესხების საშუალო შეწონილი განაკვეთი 15,9 პროცენტი იყო, სახაზინო ვალდებულებებზე კი იგივე მაჩვენებელი — 5,3 პროცენტი. მაშასადამე, რისკების პრემიამ 10,6 პროცენტი შეადგინა. — სწორედ ეს იყო იმ დამატებითი სარგებლის ოდენობა, რომელიც კომერციულმა ბანკებმა იმაში მიიღეს, რომ ფული კერძო სუბიექტს ასესხეს და არა სახელმწიფოს . ამის დასტურად თუნდაც ის სრულიად აბსურდული მონაცემების მოყვანა კმარა, რომელსაც მსოფლიო ბანკი ავრცელებს: **საქართველოში საბანკო სესხზე ბანკის რისკის პრემია უფრო დიდია, ვიდრე... ავღანეთში(?!).**

ვის გინდა, ახლა ჰკითხო, სად უფრო მეტად უჭირს ხალხს — საქართველოში თუ აღვანეთში?

თუმცა უნდა ითქვას, რომ ამასაც თავისი მიზეზი აქვს, რომელსაც **არაკონკურენტუნარიანი გარემო** ეწოდება: საქართველოში ორ ათეულზე მეტი კომერციული ბანკია, თუმცა კი, ბაზრის ოთხი მეხუთედი მხოლოდ და მხოლოდ ხუთი ყველაზე ძლიერ ბანკს აქვს ერთმანეთში დაყოფილი. ხოლო იქ, სადაც ბაზარზე „დომინანტი მამრის“ მდგომარეობა მხოლოდ რამდენიმე მეწარმე სუბიექტს, ამ შემთხვევაში ბანკს უკავია, განა რა გასაკვირია, რომ მაღალ ფასებსაც ისინი კარნახობენ?

ქვეყანაში კრედიტების სიძვირეს კიდევ ერთი, საკმაოდ საგულისხმო მიზეზი აქვს, — **ესაა კომერციული ბანკების არაპროფილური საქმიანობა.** მოქმედი კანონმდებლობით მათ საკუთარი სააქციო კაპიტალის 50 პროცენტის არაპროფილურ ბიზნესში განთავსების უფლება აქვთ. ამდენად, სადღეისოდ ისინი შვილეულ კომპანიებს ფლობენ საადაზღვევო, სამშენებლო, ჯანდაცვის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და სხვა სფეროებში.

ჰოდა, აბა, რა გასაკვირია, რომ კონკრეტულ დარგში კონკურენტ კომპანიაზე რომელიმე კომბანკმა კრედიტი ძვირად გასცეს? სწორედ ესაა ძალიან სერიოზული არგუმენტი, რომელსაც მეწარმეები საბანკო სფეროს კრედიტის დროს იყენებენ. ხოლო თუ რა ოდენობის ქონებას დაეუფლნენ კომერციული ბანკები მარტო ბოლო დროს, ამის თაობაზე ლაპარაკი მომდევნო წერილში გვექნება, თუმცა, აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ დღევანდელ თემასთან ამას მაინცდამაინც პირდაპირი კავშირი არა აქვს.

მოკლედ, ასე თუ ისე, როგორც ვხედავთ, სამომხმარებლო კრედიტებზე უსაშველოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთის შემცირების პოტენციალი საქართველოს კომერციულ ბანკებს ნამდვილად აქვთ. ამიტომ, როცა საბანაკო სექტორს ქვეყნის „ეკონომიკის ლოკომოტივის“ ამბიცია აქვს, შესაბამისად უნდა იქცეოდეს კიდეც — მარტო ფესტივალებისა და გამოფენების სპონსორობა საქმეს არ შველის.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ბიუჯეტი

ვაითუ, დაგვისუსტდნენ!..

გაისად პრეზიდენტს დაფინანსება უნახევრდება

საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსება მომავალ წელს 9 მილიონი ლარით განისაზღვრება.

ადმინისტრაციის დაფინანსება 2013 წელს 15.6 მილიონ ლარს შეადგენდა, 2014-2018 წლებში კი დაფინანსება 42.2%-ით შემცირდა და მუდმივ 9-მილიონიან ნიშნულზეა დაგეგმილი.

პრეზიდენტის ბიუჯეტის შემცირება არ არის გამოწვეული თანამშრომელთა მასობრივი შემცირებით. ადმინისტრაციაში მომუშავეთა რიცხოვნობა ბიუჯეტის პროექტით, მუდმივი 162-კაციანი შემადგენლობითაა განსაზღვრული, ხოლო 2015 წელს მათი რიცხვი მხოლოდ 12 კაცით მცირდება და 150—მდე ჩამოდის.

იმის მიუხედავად, რომ მომუშავეთა რიცხვი მცირდება, 24%-ით იზრდება ხელფასებზე გასაცემი თანხები — 4 მილიონ ლარამდე.

ამასთან, ბიუჯეტში პროგრამული მიმართულებით არ წერია, თუ რას უნდა მოხმარდეს აღნიშნული თანხები.

აღსანიშნავია ისიც რომ უცვლელი რჩება პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მოცულობა, მაშინ როცა საქართველოს მთავრობა სარეზერვო ფონდის ბიუჯეტს ზრდის. მთავრობის ფონდის მოცულობა 2015 წლისთვის 20 მილიონით მოიმატებს და 70 მილიონი ლარი იქნება.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი მიმდინარე და მომავალ წელსაც 5 მილიონი ლარი იქნება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2013 წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდისთვის გამოყოფილი თანხა არ ყოფილა.

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების მოცულობა, ერთად აღებული, წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2004 წლიდან არსებობს, მთავრობის სარეზერვო ფონდი კი 2005 წლიდან შეიქმნა.

ოპოზიცია ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პერიოდში აპროტესტებდა სამთავრობო და პრეზიდენტის ფონდების არსებობას და მათ გაუქმებას ითხოვდა. ფონდების გაზრდილ ფუნქციებს აკრიტიკებდა არასამთავრობო სექტორიც.

მათი განცხადებით, არსებობდა საფრთხე, რომ ფონდებიდან თანხების ხარჯვის ლეგიტიმაციის საკითხი დგებოდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან პარლამენტის გამორიცხვის გამო.

მარი მინაძე.

COMMERSANT.GE

◎ წკეპლიკა

ორიოდე სიტყვა ჩვენს ტელეჟურნალისტებს

სამწუხაროდ, ჩვენი ტელეჟურნალისტები რესპონდენტების ბოლომდე არ მოსმენით, დაკითხვის ფორმით და „ჭკვიანური კომენტარებით“ ვერ იცავენ ჟურნალისტიკის ელემენტარულ წესებს. უფრო მეტიც, ისინი პროკურორების მოვალეობის შემსრულებლებად გვევლინებიან. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს კეკელასა და მაროს გადაცემა „სუბიექტური აზრი“, გრიგოლიას „რეაქცია“, რომელიც ჯაჭვური რეაქციაა, მაღალი ტონებით. თვით ინგა დასაქმებული უნდა იქნეს რკინიგზის სადგურზე მატარებლების განრიგის გამომცხადებლად.

„ნანუკას შოუ“ — ქაჯობის აპოთეოზია...

„პროფილი“ — ცრემლებით დანამული სასიყვარულო ამბებისა და სექსუალური უკმარისობის მატიანეა.

ბარემ აქვე შეკითხვა ეგრეთ წოდებულ „არასამთავრობოებს“: სამთავრობო საკითხების განხილვის მუდმივად აქტიურო თანამონაწილენო, სააკაშვილის დროს ღრმა იატაკქვეშეთში იყავით, თქვენგან ჩამიჩუმი არ ისმოდა, ახლა კი ყელყელაობთ ვისგან და რისგან?

ლონდა მდივანი.

P. S. ქართველო ჟურნალისტებო, ცნობისათვის: როდესაც ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ლარი კინგმა შეკითხვა დაუსვა პუტინს, თუ რა დაემართა „კურსკს“, პუტინმა ღიმილით უპასუხა — ჩაიძირაო, კინგმა კომენტარს დუმილი ამჯობინა და ამით მან ყველაფერი თქვა...

ლ. ნ.

◎ ისტორიის ჰარადოქსები

ნაპოლეონის

რამდენი ყალბი იმპერატორი იყო?

უკანასკნელ ხანებში მასობრივი ინფორმაციის საშულებებში სულ უფრო ხშირად ქვეყნდება ცნობა იმის შესახებ, თითქოს მოამარ კადაფი (ლიბიის სახელმწიფო მოღვაწე, ლიბიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და ლიბიის არაბული სოციალისტური სახალხო ლიდერი) არ მოუკლავთ 2011 წლის 20 ოქტომბერს. მაშ ვინ იყო ის, ვინც უკვე დაჭერილია, დაიჭირეს მეამბოხეებმა, როდესაც ალყაშემორტყმულ ქალაქ სირტიდან გაქცევას აპირებდა? ის, ვისაც გასისხლიანებული სახით უჩვენებდნენ მსოფლიოს ყველა არხზე? ვისაც ასე დიდხანს აწამებდნენ და ვინაც თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მოუწოდებდა მწამებლებს დაფიქრებულიყვნენ და შემდეგ ვისი სხეული გამოფინეს საყოველთაო სამზერლად ბოსტნეულის სამრეწველო მაცივარში მისურატის სავაჭრო ცენტრში?

რასკვირველია, ეს იყო მუამარ კადაფი. მაგრამ დამოუკიდებელმა სპეციალისტებმა ჩაატარეს მისი დნმ-ს ექსპერტიზა? არა, არ ჩაუტარებიათ. უფრო მეტიც, მოკლული საიდუმლოდ დამარხეს სადღაც უდაბნოში.

ამიტომ გაჩნდა კიდეც ვარაუდი იმის შესახებ, რომ მთელ მსოფლიოს უჩვენებდნენ პოლკოვნიკის ორეულს, ესე იგი ადამიანს, რომელიც ძალიან ჰგავდა ლიბიის სახელმწიფო მეთაურს. ორეულები კი მას ჰყავდა ძალიან ბევრი — უშიშროების სამსახურის მთელი ქვეყადანაყოფი. ახლა ზოგიერთი ანალიტიკოსი გვარწმუნებს კიდეც, რომ კადაფი ცოცხალი და ჯანმრთელია, აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაშია და თავის სასურველ დროს ელოდებაო.

როგორც გინდა, ისე შეგიძლია შეხედო ამგვარ მტკიცებებს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — სამეფო პირთა მიერ ორეულების გამოყენების პრაქტიკა უხსოვარი დროიდან არსებობს. მიაჩნიათ, რომ ორეულები ჰყავდთ სტალინსაც, ჰიტლერსაც, კიმ ირ სენსაც, სადამ ჰუსეინსაც... უფრო შორეულ ისტორიაშიც არის მაგალითები, როდესაც დიქტატორის სიკვდილის ვითარება გაურკვეველი რჩება, საუკუნეების განმავლობაში. მაგალითად, იმპერატორ ნაპოლეონ I-ის გარდაცვალების გამოცანის ამოხსნაზე უკვე თითქმის ორასი წელია, იმტვრევენ თავს.

ფელიქსი, მამა ილარიონი და სხვები

არის სულ ცოტა სამი ლეგენდა, რომლებიც გვატყობინებენ, ნაპოლეონი წმინდა ელენეს კუნძულიდან გაიქცა და თავისი დღეები ევროპაში დაასრულაო.

ერთ-ერთი გადმოცემა გვიამბობს, რომ 1815 წლის 7 აგვისტოს, როდესაც ხომალდს, რომელსაც ნაპოლეონი მიჰყავდა გადასახლების ადგილისკენ, უნდა გადაეკვეთა ეკვატორი, საფრანგეთის ალპების ერთ-ერთ პატარა სოფელში გამოჩნდა მეტად უცნაური კაცი. სოფლის მაცხოვრებლებმა, რომლებსაც ნანახი ჰყავდათ ნაპოლეონი მისი დიდების წლებში, მასში თავიანთი იმპერატორი შეიცნეს, თუმცა, ის მათ წარუდგა, როგორც ფელიქსი. მეფის ჟანდარმები უმალვე გაჰყვნენ მის კვალს, დაიჭირეს და ჩასვეს ვიენ-ან-დოფინეს ციხეში. აქ ნაპოლეონ-ფელიქსის კვალი ქრება, ვინაიდან ამ დაპატიმრებასთან დაკავშირებული ვერანაირი დოკუმენტი ვერ აღმოაჩინეს...

სხვა გადმოცემა ემყარება ჩვენებებს, რომელიც 1822 წელს მისცა არმან მარკიზემ, ქალაქ მანდის პრეფექტურის მდივანმა., ის ყვებოდა, რომ გაიგო ქალაქის მიდამოებში ცხოვრობს ვიღაც მღვდელი, რომელსაც მამა ილარიონს ეძახდნენ. მახლობელი სოფლების მცხოვრებლები რატომღაც თაყვანს სცემდნენ ამ მოძღვარს და მის სახელს უდიდესი შიშით წარმოთქვამდნენ. დაინტერესებულმა მარკიზემ დაიწყო ცნობების შეგროვება და მალე გაიგო, რომ იდუმალმა მღვდელმა, რომელიც ღმერთმა იცის, საიდან გაჩნდა, იყიდა ნახევრად დანგრეული ციხესიმაგრე ქალაქის მახლობლად. სოფლების მცხოვრებლები ჩურჩულებდნენ იმის შესახებ, რომ მღვდელყოფილი იმპერატორია. მარკიზე პრეფექტისა და ჟანდარმერიის კაპიტნის თანხლებით გაემგზავრა, რომ პირადად დარწმუნებულიყო ან უარეყო ეს ხმები. მამა ილარიონი მათ გზაზე შეხვდა, ცხენოსანთა ესკორტის სათავეში, ყველა ისეთსავე ბერმონაზვნის ანაფორაში იყო. ყველა მათგანი გასაოცრად კარგად გრძნობდა თავს უნაგირზე. მაგრამ მარკიზე ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ მამა ილარიონი გასაოცრად ჰგავდა გარეგნობით ნაპოლეონს.

მესამე გადმოცემა გვატყობინებს, რომ 1821 წლის 5 მაისს წმინდა ელენეს კუნძულზე გარდაიცვალა არა ნაპოლეონი, არამედ ნაპოლეონის არმიის კაპრალი რობო, რომელიც გასაოცრად ჰგავდა ნაპოლეონს. თავად იმპერატორმა კი თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდი თითქოსდა იტალიაში გაატარა.

„ჩვენ ყველა ნაპოლეონს ვუმზერთ...“

სარწმუნოდაა ცნობილი, რომ თავისი მმართველობის დასაწყისიდანვე ნაპოლეონმა გასცა ბრძანება — ეძებნათ მისი ორეულები მთელს ევროპაში. შედეგად, აღმოაჩინეს ოთხი ადამიანი. შემდგომ მათი ბედი სხვადასხვაგვარად წარიმართა: ერთს უმალვე დაატყდა თავს უბედურება — გადმოვარდა ცხენიდან და სრულიად გამოუსადეგარი ინვალიდი გახდა. მეორე გონებასუსტი აღმოჩნდა, მესამე დიდი ხნის განმავლობაში ახლდა იმპერატორს, მაგრამ გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს. იმპერატორის მეოთხე ორეულს — ფრანსუა-ეჟენ რობოს — ბედი ყველაზე საინტერესო და იდუმალებით მოცულია.

ზოგიერთი წყარო ამტკიცებს, რომ ეს კაცი დაიბადა 1775 წელს პატარა ქალაქ ბალეიკურში, რომელიც მიოზის დეპარტამენტშია, ვერდენიდან ექვს კილომეტრში. 1793 წელს ის მოხალისედ ჩაეწერა თავისი დეპარტამენტის ეგერთა 1-ელ ბატალიონში და წავიდა ომში. ის ნაპოლეონზე ექვსი წლით უმცროსი იყო, მაგრამ წარმოუდგენლად ჰგავდა მას. ბოლოს და ბოლოს, ამას ყურადღება მიაქციეს და პოლკოვნიკმა კაპრალი რობო წარუდგინა თავის უფროსობას, რომელმაც, თავის ხმრივ, იგი პოლიციის მინისტრ ფუშესთან გაგზავნა, ვინაც ამ საკითხებს განაგებდა.

რობოს შესახებ დიდხანს არავის არაფერი არ გაუგია.

როგორც ცნობილია, ვატერლოოსთან დამარცხების შემდეგ ნაპოლეონმა უარი განაცხადა ტახტზე და ის შორეულ წმინდა ელენეს კუნძულზე გაგზავნეს. არავისთვის აღარსაჭირო მისი ორეული თავის სახლს დაუბრუნდა ბალეიკურში.

წყნარი პროვინციული ცხოვრება მიმდინარეობდა დუნედ და ერთფეროვნად. მაგრამ უეცრად (ეს 1818 წელს იყო) ბალეიკურში მოხდა რაღაც წარმოუდგენელი რამ: რობოს სოფლის სახლს მოადგა ბრწყინვალე კარეტა, რაც იმ მხარეში მეტად იშვიათი მოვლენა იყო. სწორედ ამიტომ დაამახსოვრდა ის ბევრს. ვინ იჯდა ამ კარეტაში ჩამოფარებული ფარდის მიღმა, უცნობია. ყოველ შემთხვევაში, კარეტა სახლთან იდგა სულ ცოტა ორი საათის განმავლობაში. სახლის პატრონი შემდეგ მეზობლებს უყვებოდა, რომ მასთან მისულ ადამიანს ჯერ უნდოდა მისგან ბოცვრები ეყიდა, შემდეგ დიდხანს ემუდარებოდა ერთად ენადირათ, მაგრამ, ის, თითქოს, არ დათანხმდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ფრანსუა-ეჟენ რობო ქალაქიდან გაქრა თავის დასთან ერთად.

მოგვიანებით ხელისუფლება გონს მოვიდა და იმპერატორის ყოფილი ორეულის ძიება დაიწყო. შედეგად ნახეს მხოლოდ მისი და, რომელიც ნანტში ცხოვრობდა ფუფუნებაში. არავინ არ იცოდა, საიდან გაჩნდა იგი ამ ქალაქში. ქალი აცხადებდა, თითქოს ფული მას მისცა ძმამ, რომელიც შორეულ მოზაურობაში წავიდა, ხოლო თუ სად, მან არ იცის: „იქირავეს მეზღვაურად და წავიდა ზღვაზე, დაცურავს სადღაც...“

უცნაური „კომერსანტი“

მალე ფრანსუა ეჟენ რობოს გაქრობიდან, იტალიურ ვერონაში შენიშნეს ვინმე ფრანგი რევარის გაჩენა, რომელმაც თავის კომპანიონთან ერთად პატარა მაღაზია გახსნა. ვაჭარ პეტრუჩის მემკვიდრეების მახსოვრობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი კვალი მუსიე რევარმა დატოვა .

ამ დროს წმინდა ელენეს კუნძულის სახელგანთქმული ტყვე უეცრად ძალიან გულმავიწყი გახდა, ერთმანეთში ურევდა ცხად ფაქტებს თავისი წინანდელი ცხოვრებიდან. მისი ხელწერა მოულოდნელად ძალიან შეიცვალა, თავად კი გახდა მეტად გათქვირული და მოუქნელი. ოფიციალურმა ხელისუფლებამ ეს ღვთისგან დავიწყებული კუნძულის ტყვეობის არცთუ დიდად კომფორტულ პირობებს მიაწერა.

ჩამოსული ფრანგი რევარის ქცევაც ვერონაში იყო მეტად უცნაური: ის იშვიათად რჩებოდა თავის მაღაზიაში, ქუჩაში კი თითქმის საერთოდ არ გამოდიოდა. ამ დროს ყველა მეზობელმა შენიშნა, რომ ის ძალიან ჰგავდა ნაპოლეონის პორტრეტებს და მას მეტსახელად „იმპერატორიც“ კი შეარქვეს. თავად რევარი ასეთ მიმართვას მხოლოდ თავშეკავებული ღიმილით ხვდებოდა. რაც შეეხება კომერციას, პეტრუჩის სიტყვებით, მის კომპანიონს მასთან დაკავშირებით მცირეოდენი ნიჭიც კი არ გააჩნდა. როდესაც ხდებოდა ხოლმე, რომ მორიგ წამოწყებას მხოლოდ ზარალი მოჰქონდა, ეს მას სულაც არ ადარდებდა. ფულისადმი ის, როგორც ჩანს, გულგრილი იყო, და უნდა გემკითხავა, თუ რატომ აირჩია მაინცდამაინც „კომერსანტობა“, ასე გრძელდებოდა რამდენიმე წელიწადი.

დუმილის ოცდაათი წელი

1821 წლის 5 მაისს წმინდა ელენეს კუნძულზე, ოფიციალური ვერსიის თანახმად, გარდაიცვალა ნაპოლეონ ბონაპარტი. 1823 წლის 23 აგვიტოს კი, მისმა წყლის ორი წვეთივით მსგავსმა რევარმა (მაღაზიის მფლობელმა) მიატოვა საქმეები და საბოლოოდ დატოვა ვერონა.

ეს მეტად უცნაურ ვითარებაში მოხდა. შუადღისას მაღაზიის კარზე, რომელშიც იმ დროს ორივე კომპანიონი იმყოფებოდა, ვიღაცამ დააკაკუნა. როდესაც დარწმუნდნენ, რომ მათ წინაშე სწორედ ბატონი რევარი იყო, მოსულმა გადასცა მას ლუქით ბეჭედდასმული წერილი. როდესაც იგი რევარმა წაიკითხა, აღელვებულმა აცნობა პეტრუჩის, რომ გადაუდებელი ვითარება აიძულებს მას შორს მგზავრობას და სახლში წავიდა მოსამზადებლად. ორი საათის შემდეგ ის ხელცარიელი დაბრუნდა. კარეტა, რომლითაც წარმოგზავნილი ჩამოვიდა, მას კვლავ ელოდა კარებთან. რევარი დაემშვიდობა თავის კომპანიონს და დაუტოვა კონვერტი: თუ სამი თვის შემდეგ რაიმე მიზეზით ვერ დავბრუნდები, წერილი უნდა გადაეცეს დანიშნულებისამებრო.

როდესაც კარეტის ბორბლების ხმა მიწყდა, პეტრუჩიმ კონვერტს დახედა. მასზე ეწერა: „მის უდიდესობას საფრანგეთის მეფეს“.

არც სამი თვის შემდეგ და საერთოდაც რევარი ვერონაში არ დაბრუნებულა. მიცემული პირობის თანახმად, პეტრუჩი პარიზს გაემგზავრა და წერილი საფრანგეთის მეფეს გადასცა. ამისთვის ის დააჯილდოვეს, თანაც წარმოუდგენლად უხვად. რაც შეეხება ფრანგულ სასახლეში ყოფნას, ამის შესახებ პეტრუჩი დუმილს ამჯობინებდა. ის ოცდაათი წელი დუმდა.

მრავალი წლის შემდეგ ის მოულოდნელად წარუდგა ვერონის თანამდებობის პირებს და გააკეთა უკიდურესად მნიშვნელოვანი განცხადება, ფიცთან ერთად. მისი ყოველი სიტყვა დააფიქსირა კანცელარიის მწერალმა. და დოკუმენტს ხელი, როგორც წესი იყო, მოაწერეს თავად პეტრუჩიმ, თანამდებობის პირებმა და მოწმეებმა. დოკუმენტში უკანასკნელი ფრაზა იყო მტკიცება იმის შესახებ, რომ პეტრუჩის კომპანიონი ხუთი წლის განმავლობაში იყო ნაპოლეონ ბონაპარტი.

სიკვდილი ღობესთან

იმის თქმა, თუ რა გადახდა თავს რევარ-ნაპოლეონს მას შემდეგ, რაც ვერონა დატოვა, ზუსტად შეუძლებელია. აი იმპერატორის ზოგიერთი ბიოგრაფი ამტკიცებს, რომ ნაპოლეონმა თავისი დღეები ვენის გარეუბანში დაასრულა, იმავე 1823 წლის 4 სექტემბერს.

იმავე შემოდგომაზე ვენის მახლობლად, შიონბრუნის ციხესიმაგრეში, ქუნთრუშისაგან ნაპოლეონის კანონიერი შვილი გარდაიცვალა. იმ უბედურ ღამეს დარაჯმა, რომელიც ციხესიმაგრეს იცავდა, ტყვიით მოკლა ვიღაც უცნობი, რომელიც ქვის კედელზე გადასვლას ცდილობდა. როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს მოკლული, ვისაც თან არანაირი დოკუმენტი არ ჰქონდა, პოლიციამ დაუყოვნებლივ შემოარტყა ციხესიმაგრეს ალყა. რატომ? არანაირი განმარტება არ ყოფილა.

იმპერატორის ყოფილი მეუღლის მარია-ლუიზას დაჟინებული თხოვნით მოკლული უცნობის ცხედარი დაკრძალეს ციხესიმაგრის ტერიტორიაზე იმ ადგილის გვერდით, რომელიც გათვალისწინებული იყო ნაპოლეონის ცოლისა და შვილისათვის. ეს დამაინტრიგებელი ამბავი ზოგიერთი ვარიაციით რამდენჯერმე გამოიყენეს ლიტერატურაში.

თუ ის მართლა ნაპოლეონი იყო, მის ორეულს ფრანსუა-ეჟენ რობოს უფრო მეტად გაუმართლა: მისი გარდაცვალება, როგორც ჩანს, არ ყოფილა ძალისმიერი. ლონდონში მცხოვრები ისტორიკოსი — ჟურნალისტის ალექსანდრ გორბოსვკის ვერსიით, ორეულის მშობ-

◎ ისტორიის პარადოქსები

ორეულების საიდუმლოება

ლიური ქალაქის საეკლესიო წიგნში შენახულია ჩანაწერი: „ფრანსუა-ეჟენ რობო დაიბადა აქ... გარდაიცვალა წმინდა ელენეს კუნძულზე...“ თუმცა, გარდაცვალების თარიღი წაშლილი იყო. ერთადერთი მიზეზი, თუ ვიღაცამ რატომ მიიჩნია საჭიროდ ამის გაკეთება, შეიძლება იყოს ამ თარიღის ნაპოლეონის დაბადების დღესთან დამთხვევა, მიაჩნია ისტორიკოსს.

საიდუმლო იალქნიანი გემი

გასაგებია, ყველა ლამაზ ლეგენდას არა აქვს და არც შეიძლება, ჰქონდეს ოფიციალური დადასტურება. არის მხოლოდ ირიბი ფაქტები, რომელთა ანალიზსაც აქ ვაპირებ.

თუ ეს არაფერი არ ყოფილა და 1821 წელს წმინდა ელენეს კუნძულზე გარდაიცვალა ნამდვილი ნაპოლეონ ბონაპარტი, როგორ შეიძლება მაშინ ავხსნათ ის ფაქტი, რომ 1817-1818 წლებში კუნძული სხვადასხვა საბაბით დატოვა მრავალმა მახლობელმა ადამიანმა იმპერატორის გარემოცვიდან: მდივანმა ემანუელ დე ლას კაზმა, გენერალმა გასპარ გურგომ, შემდეგ ერთბაშად ექვსმა მოსამსახურემ, აგრეთვე ნაპოლეონთან დაახლოებული პირების მოსამსახურეებმა? ცნობილია, რომ 1819 წლის შუა პერიოდში კუნძულზე ადრე მცხოვრები ფრანგებიდან მხოლოდ ნახევარი დარჩა.

ამის გარდა, ნაპოლეონის ზოგიერთ ბიოგრაფს მოჰყავს ციტატა გენერალ ანრი-გარსიენ ბერტრანის ცოლის წერილიდან, გენერლისა, რომელიც ცოლთან ერთად ახლდა იმპერატორს დევნილობაში. წერილის თარიღია 1818 წლის 25 აგვისტო, და მასში არის უცნაური ფრაზა: „გამარჯვება, გამარჯვება! ნაპოლეონმა დატოვა კუნძული“. მეტი არაფერი. არც კომენტარი, არც განმარტება. იმას, ვისი მისამართითაც იყო წერილი, განმარტება არ სჭირდებოდა.

მანამდე ცოტა ხნით ადრე კი, როცა ეს უცნაური წერილი დაიწერა, კუნძულის მახლობლად გამოჩნდა დარეიდზე დადგა ამერიკული სწრაფმავალი იალქნიანი ხომალდი, რამაც ინგლისელების განგაში გამოიწვია. საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ იალქნიანი ხომალდის თავად ქცევამ გამოიწვია მათში ეჭვი, არამედ იმანაც, რომ რაიმე გართულების შემთხვევაში, ახლო მყოფი ინგლისელების ვერც ერთი გემი ვერ დაეწეოდა „ამერიკელებს“.



ნაპოლეონის ცხედრის ექსჰუმაცია 1840 წელს

სავსებით საალბათოა, რომ ხომალდით კუნძულზე ჩამოვიდა ორეული რობო, და იქიდან გაემგზავრა თავად ნაპოლეონი.

მაგრამ ორეული უნდა მომკვდარიყო (ასეთია მისი დანიშნულება). ეს მნიშვნელოვანი იყო როგორც თავად „ნაპოლეონის ლეგენდისთვის“, ისე გაქცევის მონაწილეთა დევნისგან გადარჩენისათვის.

ეს შეიძლება გასაოცრად მოგვეჩვენოს, მაგრამ ნაპოლეონის შორეული ბიძა კარდინალი ჟოზეფ ფუშე და იმპერატორის დედა ლეტიცია მართლაც იყვნენ დარწმუნებული, რომ წმინდა ელენეს კუნძულის ტყვემ შეძლო გაქცევით გადარჩენილიყო. სწორედ ამიტომ უარყვეს მათ შესაძლებლობა ნაპოლეონისათვის გაეგზავნათ პირველი კლასის მედიკოსები, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, და სამაგიეროდ გაგზავნეს მხოლოდ ახალგაზრდა ექიმი ფრანჩესკო ანტომარკი. მადამ ლეტიციას კი, რომელსაც არაფერი ენანებოდა თავისი შვილებისათვის, რა თქმა უნდა, არ სურდა გაეწია ხარჯები ვიღაც ორეულის მკურნალობისთვის, რომელმაც მისი შვილი შეცვალა.

ახლა მოვუსმინოთ ამ თეორიის სხვა მომხრეების სხვა დასკვნებს, მაგალითად, წიგნის **„ვინ არის აქ დაკრძალული. ახალი გამოკვლევა ნაპოლეონის უკანასკნელი წლების შესახებ“** (ნიუ-იორკი, 1974) — ავტორს **თომას უილერს**.

წიგნის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნაპოლეონს უკვე ჰქონდა კუნძულიდან გაქრობის გამოცდილება — 1815 წელს ელბიდან გაქცევა. ამ გაქცევისათვის მზადება მოიცავდა იმ ხერხების გამოყენებას, რომლებიც დაეხმარა მას გაეცურებინა მტრის მზვერავები, რომლებსაც ნაპოლეონთან აგზავნიდა ბრიტანული კომისარი ელბაზე კემპბელი. იმავეს აკეთებდა წმინდა ელენეს კუნძელის გუბერნატორი, გენერალი ჰადსონ ლოუ, რომელიც ჯაშუშობას აღმერთებდა.

ვინაიდან ელბიდან გაქცევისათვის მზადების საიდუმლოებანი მაინც არ იყო გახსნილი, სწორედ ეს მეთოდი გამოიყენეს წმინდა ელენეს კუნძულზე. ძნელია დაიჯერო, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც ნაპოლეონი იყო, ყოფილიყო მზად — შერიგებოდა თავის ბედისწერას. მან გადაწყვიტა დაეტოვებინა კუნძული ოღონდ ისე, რომ მეცხოვნეებს გაქცევის შემდეგაც კი არ აეღოთ ეჭვი ამაზე. ნაპოლეონი სრულიად შეგნებულად ამწვავებდა ურთიერთობას ინგლისელ გუბერნატორსა და მის ჩინოვნიკებთან, გაითამაშებდა ხოლმე რისხვის სცენებს, რათა თავისი მეთვალყურეები ლონგვუდიდან შორს ჰყოლებოდა... ბონაპარტისტები არაერთხელ შეეცადნენ, მოეწყოთ ნაპოლეონის გაქცევა. ერთ-ერთი მათგანის განხორციელებას, კერძოდ, შეეცადა მისი ყოფილი საყვარელი პოლინა ფურესი, ვისთანაც ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ ნაპოლეონმა მოუნახა ახალი მდიდარი ქმარი — გადამდგარი ოფიცერი ანრი დე რანშუ, რომელიც მალე გახდა კონსული ესპანეთის სანტადერში, შემდეგ კი — შვედეთში.

გრაფინია დე რანშუ (როგორც უკვე უწოდებდა თავის თავს პოლინა) 1816 წელს თავის საყვარელთან ჟანოგიუსტ ბელართან ერთად გაემგზავრა რიო-დე-ჟანეიროში და იყიდა იქ ხომალდი ნაპოლეონის გადასარჩენად. ამ მცდელობის წარუმატებლობის მიუხედავად, პოლინა სხვა ბონაპარტისტებთან ერთად კიდევ დიდხანს მოქმედებდა ბრაზილიაში და გარდაიცვალა 1869 წლის 18 მარტს, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ნაპოლეონის გარდაცვალებიდან.

ნაპოლეონი თავისი მომხრეებისგან ღებულობდა გაქცევის წინადადებებს (ფართოდაა ცნობილი, მაგალითად, გადარჩენის ერთ-ერთი ვარიანტი რობერტ ფულტონის მიერ გამოგონებული წყალქვეშა ნავით). მაგრამ ის ყოველთვის უარს ამბობდა მათზე. იმიტომ ხომ არა, რომ მარაგად ჰქონდა სხვა, უფრო საიმედო ვარიანტი?

უმისამართო პატივგებანი

სამწუხაროდ, ნაპოლეონის ფრანსუა-ეჟენ რობოთი შეცვლის ვერსია არაფრითაა დადასტურებული. ყველა დოკუმენტის მოწმობა, რომლებიც მოჰყავდათ მის მომხრეებს (მაგალითად, ჩანაწერი ბალეიკურის არქივში იმის შესახებ, რომ იგი წმინდა ელენეს კუნძულზე გარდაიცვალა), შემოწმების დროს მოგონილი აღმოჩნდა.

ვერსიას ახასიათებს სხვა, ერთმანეთის საპირისპირო რამეებიც. რობო, კერძოდ, ბალეიკურიდან წავიდა 1818 წლის ბოლოს, ამ დროს დაავადება, რომელმაც გადაიყოლა ნაპოლეონი, გამოჩნდა ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე, 1817 წლის ოქტომბერში. ქაღალდებიც, რომლებსაც წერდა და უკარნახებდა ნაპოლეონი უკანასკნელ წლებში და თვეებშიც კი, მოწმობდნენ ასობით ისეთი ამბის, დეტალების, წვრილმანების შესახებ, რომლებიც ცნობილი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ იმპერატორისთვის, და არავითარ შემთხვევაში მისი ორეულისათვის.

რაც შეეხება ადამიანს, რომელიც შიონბრუნის ციხესიმაგრეში მოკლეს: 1823 წელ ნაპოლეონი 54 წლისა იქნებოდა, და ძნელად რომ ამ მსუქან და არც ათლეტურობით გამორჩეულ ადამიანს შეძლებოდა გადამძვრალიყო ქვის მაღალ ღობეზე, სასახლეს რომ ერტყა გარს.

მაგრამ მაინც მთავარი არგუმენტი, რომელიც ადასტურებს ვერსიას იმის შესახებ, რომ 1821 წელს წმინდა ელენეს კუნძულზე დაკრძალეს არა ნაპოლეონი, არამედ ვინმე სხვა, არის ფრანგი ისტორიკოსის ჟორჟ რეფიტ დე ლა ბრეტონის ჰიპოთეზა, რომელიც უკანასკნელ წლებში განავითარა ნაპოლეონის ეპოქის მკვლევარმა ბრუნო რუა-ანრიმ.

იმ ჰიპოთეზის არსი, რომელიც გამოთქვა რეტიფ დე ლა ბრეტონმა 1969 წელს წიგნში „ინგლისელებო, დაგვიბრუნეთ ნაპოლეონი“, არის ის, რომ ინგლისელებმა თითქოს გარდაცვლილი ნაპოლეონის ცხედარი შეცვალეს იმპერატორის ყოფილი სახლთმმართველის ფრანჩესკო კაპრიანის ცხედრით. 1818 წელს ეს კორსიკელი გამოააშკარავეს ჯაშუშობაში ინგლისელების სასარგებლოდ და იგი საიდუმლო ვითარებაში გაქრა. ყოველ შემთხვევაში, მისი საფლავი კუნძულზე მაინც ვერ აღმოაჩინეს. ფრანგი ისტორიკოსის აზრით, 1840 წელს პარიზში საზეიმოდ გადაასვენეს სწორედ ამ კიპრიანის და არა ნაპოლეონის ნეშტი (ჩვენგან დავუმატებდით: ან იმისი, ვინც თავს ნაპოლეონად ასაღებდა). თავისი ჰიპოთეზის დასადასტურებლად რეტიფ დე ლა ბრეტონს მოჰყავს რამდენიმე დასკვნა, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანია 1840 წელს ექსგუმაციისას გარდაცვლილის ზოგიერთი უნიფორმისა და ჯილდოს არარსებობა იმასთან შედარებით, რომლებიც მას 1821 წელს ჰქონდა. კერძოდ, მითითებულია იმ ერთ-ერთი ორდენის უქონლობა, რომელსაც კამერდინერი მარშანი ჩამოთვლის, და დეზებისა, რომლებიც ვერ დაინახა ექსგუმაციის ვერც ერთმა მონაწილემ 1840 წელს, თუმცა, 1821 წელს ისინი იყო.

მარშანის „მემუარებში“ მკაფიოდაა ნათქვამი, რომ იმპერატორს ეცვა „გვარდიელი ეგერის მწვანე უნიფორმა წითელი მოსართავით, რომელსაც ამშვენებდა საპატიო ლეგიონის ორდენი, რკინის გვირგვინის ორდენი, შეერთების ორდენი, დიდი არწივის ნიშანი და საპატიო ლეგიონის ლენტი“. 1840 წელს გარდაცვლილის მუნდირზე შეერთების ორდენი არ ყოფილა. იგივე მარშანი აღნიშნავს, რომ ნაპოლეონს ეცვა „ჩექმები ცხენით მოგზაურობისთვის“, ესე იგი დეზებით. ასევე დეზების არსებობაზე მიუთითებს გენერალი ბერტრანიც. 1840 წელს ჩექმები უკვე უდეზებოდ იყო. ამას გარდა, წარჩინების ზემოაღნიშნული ნიშნების მდგომარეობა, რომელიც აღწერილი იყო ყოველთვის სიზუსტის მოყვარული გენერალ ბერტრანის მიერ, არსებითად დარღვეული იყო.

რუა-ანრიც, რომელიც რატიფ დე ლა ბრეტონის საქმეს აგრძელებს, ასევე დარწმუნებულია, რომ ინვალიდების სახლში პარიზის ცენტრში საზეიმოდ დაკრძალული პიროვნება ნაპოლონი არაა. ამის დადასტურებას ეძღვნება მისი წიგნი „1840 წლის ექსგუმაციის საიდუმლოება“, რომელიც 2000 წელს გამოიცა პარიზში.

რუა-ანრის დასკვნა, რომელიც ავსებს ზემოაღნიშნულ დასკვნებს, არის მუხლების მდგომარეობა ექსგუმაციის დროს. ისინი ოდნავ მოხრილი იყო, თითქოს იმისთვის, რომ ცხედარი ვიწრო კუბოში მოეთავსებინათ. მაგრამ კუბოს სიგრძე იყო 1,78 მეტრი, ნაპოლეონის სიმაღლე კი 1,69 მეტრს შეადგენდა, ესე იგი მუხლების მოღუნვისათვის არანაირი აუცილებლობა არ არსებობდა.

სერგეი ნეჩაევი,
„სოვერშენნო სეკრეტნო“. 2014 წ. აგვისტო
(დასასრული იძნება)

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მოსკოვი შეშფოთებულია საქართველოში ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსების გეგმებით

თბილისს მიაჩნია, რომ რეგიონალურ უშიშროებათა საფრთხე მოდის არა ნატოდან, არამედ რუსეთის ბაზებისგან

მოსკოვს მიაჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ინფრასტრუქტურის „ნატოს ინტერესებისათვის“ განთავსება შექმნის საფრთხეს სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობისაკენ მიმავალი ვითარებისათვის. ამის შესახებ საუბარია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობაში ჟენევის მოლაპარაკების 29-ე რაუნდთან დაკავშირებით, რომელიც 7-8 ოქტომბერს გაიმართა.

„რუსეთის მხრიდან გამოითქვა შეშფოთება საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობის გამო საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ინტერესებისათვის სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსების გეგმებთან დაკავშირებით. ასეთი მოქმედებები შეუქმნიან საფრთხეს სტაბილურობას კავკასიის რეგიონში“, — ნათქვმია ცნობაში.

იქვე საუბარია იმის შესახებ, რომ უელსში ნატოს სექტემბრის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები ჩრდილოატლანტიკური ალანსის საქართველოსთან დაახლოების შესახებ, იწვევს სოხუმისა და ცხინვალის შეშფოთებას, რომლებმაც ამასთან დაკავშირებით განაცხადეს იმის აუცილებლობაზეც, რომ მიღებული იქნეს შეთანხმება თბილისთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

„ეფექტურ ნაბიჯად ამ მიმართულებით განიხილებოდა დისკუსიების ყველა მონაწილის ერთობლივი განცხადების პროექტი ძალის გამოუყენებლობის და უშიშროების გარანტიების შესახებ“, — ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობაში.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პროექტი ითვალისწინებს შეთანხმების გაფორმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ თბილისს, ცხინვალსა და სოხუმს შორის. მაგრამ თბილისი უარს აცხადებს ამგვარ შეთანხმებაზე ხელმოწერაზე, ვინაიდან მიიჩნევს, რომ გამოყოფილი რეგიონები „არ არიან კონფლიქტის დამოუკიდებელი მხარეები“ და არ შეუძლიათ, ხელი მოაწეროს ასეთ შეთანხმებას. თავის მხრივ, თბილისი მოსკოვიდან მოითხოვს, იკისროს ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ საქართველოს წინააღმდეგ, ამასთან დაკავშირებით მოსკოვი აცხადებს, რომ არ თვლის თავს, კონფლიქტის მხარედ და, შესაბამისად, უარს აცხადებს, ხელი მოაწეროს ასეთ შეთანხმებას. თბილისი ამტკიცებს, რომ საქართველომ იკისრა ვალდებულება, არ გამოიყენოს ძალა თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის და მიუთითებს ქართველი ლიდერების განცხადებას ევროკავშირისა და ნატოს ტრიბუნებიდან. თუმცა, მოსკოვის აზრით, ზეპირი განცხადებები საკმარისი არ არის. რუსეთი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ გაფორმებული უნდა იყოს იურიდიულად. ანალოგიურ პოზიციას გამოხატავენ სოხუმი და ცხინვალი.

იგორ კარასინი

დროებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკითხი

ჟენევის მოლაპარაკების 29-ე რაუნდზე არ განხილულა საკითხი ქართველი დროებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების დაბრუნების შესახებ. წინა რაუნდი ივნისში ჩაიშალა, ვინაიდან ცხინვალისა და სოხუმის წარმომადგენლები ამ მიზეზთან დაკავშირებით გაერთიანდნენ საქართველოს წინააღმდეგ დემარშში და დატოვეს შეხვედრა. კერძოდ, მხარეების უკმაყოფილებამ გამოიწვია ის, რომ გაერომ 5 ივნისს მიიღო საქართველოს მიერ შეთავაზებული რეზოლუცია, რომელშიც კიდევ ერთხელ ხაზგასმულია ყველა იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლება დაბრუნდნენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ცხინვალისა და სოხუმის დელეგაციებმა ერთობლივ განცხადებაში აღნიშნეს, რომ უარს აცხადებენ, განიხილონ საკითხი ქართველი ლტოლვილების დაბრუნების შესახებ „მანამ, სანამ კვლავ გაგრძელდება პოლიტიკური თამაშები ლტოლვილთა პრობლემების შესახებ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ზურგზსუკან“. რუსეთის დელეგაციამ მხარი დაუჭირა მათ პოზიციას.

როგორც 8 ოქტომბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, „სანამ საქართველო არ შეწყვეტს ამ მნიშვნელოვანი თემის ხელოვნურ პოლიტიზაციასა და დუბლირებას გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ნიუ-იორკში, ამ პუნქტის განხილვა გადაიდება“.

მთლიანად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჟენევაში 29-ე შეხვედრას პოზიტიური შეფასება მისცა. ცნობაში აღნიშნულია, რომ მორიგი რაუნდი გაიმართა „აზრთა პროფესიული გაცვლის ატმოსფეროში“.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ და ჟენევის მოლაპარაკებაზე რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა გრიგორი კარასინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დასრულებული რაუნდი „ხელსაყრელად გამოირჩევა წინებისაგან კონსტრუქციული განწყობილებით ურთიერთ მისაღები გადაწყვეტილებების მიღებისათვის“.

თბილისი უარყოფს

თავის მხრივ, საქართველოს მხარემ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობის კომენტირების დროს უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მხარეებმა განიხილეს რუსეთის პროექტი ძალის გამოუყენებლობის შესახებ. როგორც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ჟენევის მოლაპარაკებაზე დავით ზალკალიანმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა, მხარეებს იმდენად განსხვავებული პოზიცია აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ 29-ე რაუნდზე შეუძლებელი აღმოჩნდა ამ პოზიციების დაახლოება.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ, თავის მხრივ, დაადასტურა თბილისის პოზიცია რუსეთის პროექტის მიუღებლობის შესახებ და მოუწოდა რუსეთს, უპასუხოს საქართველოს მიერ ნაკისრ ზეპირ ვალდებულებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ და გააკეთოს თავადაც იგივე. მისი სიტყვებით, რუსეთის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წელს ავალდებულებს მოსკოვს ამის გაკეთებას.

თბილისი რეგიონალური უშიშროების შესახებ

რაც შეეხება რეგიონალურ უშიშროებას, რომლის საფრთხესაც რუსეთის მხარე ხედავს საქართველოს და ნატოს თანამშრომლობაში, ოფიციალურმა თბილისმა განაცხადა, რომ ამ საკითხში პრობლემა მოდის არა ნატოს ინფრასტრუქტურიდან, არამედ გადაუწყვეტელი კონფლიქტებიდან და რუსეთის სამხედრო ბაზებიდან, რომლებიც განლაგებულია სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე.

„არც ერთი ინფრასტუქტურა საქართველოში, რომელიც იქმნება თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით, არ წარმოადგენს საფრთხეს ჩვენი მეზობელი სახელმწიფო რუსეთისათვის. რუსეთის ბაზების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან, რუსეთის ბაზების გაყვანა მოლდოვიდან და რუსეთის შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივი გაყვანა უკრაინიდან — აი, ეს ნამდვილად ხელს შეუწყობს რეალურ უშიშროებას და უმჯობესი იქნება, თუ რუსეთის ხელისუფლება იზრუნებს ამისთვის“, — განაცხადა 9 ოქტომბერს ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების ინტეგრაციის საკითხებზე სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა.

ანალოგიური თვალსაზრისი გამოთქვა საქართველოს პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაში ზურაბ აბაშიძემ.

„ჩვენი თანამშრომლობა ნატოსთან არანაირ საფრთხეს არ უქმნის რეგიონალურ უშიშროებას. რეგიონალურ უშიშროებას ზიანს აყენებენ, ქმნიან მეტად სერიოზულ პრობლემებს გადაუჭრელი კონფლიქტები, და სწორედ ამაში ვხედავთ ჩვენ რუსეთის როლს... თუ რუსეთში არის ასეთი სურვილი, პოლიტიკური ნება, საჭირო ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყოთ მოწესრიგება კონფლიქტებისა... ეს დასავლეთის ქვეყნების ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა რუსეთთან დაკავშირებით“, — აღნიშნა 9 ოქტომბერს თავის კომენტარებში ზურაბ აბაშიძემ.

ოპოზიციის შეფასება

ამავე დროს მიხეილ სააკაშვილის პარტიამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ბრალი დასდო საქართველოს ხელისუფლებას არაკომპეტანტურობაში და უუნარობაში, აწარმოოს ეფექტიანი დიპლომატიური მუშაობა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის ზურაბ ჭიაბერაშვილის სიტყვებით, საქართველომ, რომელმაც იკისრა ზეპირი ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ, უფრო მეტად უნდა მოახდინოს საერთაშორისო გაერთიანების მობილიზება რუსეთზე გავლენის მოხდენის მიზნით და აიძულონ იგი, გააკეთოს იგივე. მაგრამ, როგორც ოპოზიციონერს მიაჩნია, „დიპლომატიური შეტევის“ ნაცვლად, ჟენევის მოლაპარაკებაზე მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე რუსეთის მესაზღვრეების საზღვრების უკან გადაწევის შესახებ, საქართველოს მხარეს უწევს „მოისმინოს ამგვარი უხეში განცხადებები რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან“.

შეგახსენებთ, რომ ჟენევის მოლაპარაკება მოიწვიეს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესაბამისად. დისკუსიებში მონაწილეობას ღებულობენ გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის წარმომადგენლები. მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ მოლაპარაკების მომდევნო 30-ე რაუნდი გაიმართება დეკემბერში.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

მარტიდან ოქტომბრამდე დონეცკში 1500-ზე მეტი კაცი დაიღუპა. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კვლავ წერენ მოხალისეების შესახებ რუსეთის ფედერაციიდან

შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა შორის 20-ზე მეტი ბავშვია. დონეცკის მორგის სარდაფში 60 ცხედარია, რომელთაგანაც 20 იდენტიფიცირებული არაა. ეუთოს სამონიტორინგო მისია დარწმუნდა იმაში, რომ მთლიანად ეს პროცესი მიმდინარეობს შესაბამისი ფორმით, მთელი ინფორმაცია კი ინახება მონაცემთა ბაზაში.

* * *

პუტინი მინსკში წერტილს დაუსვამს ევრაზიის ეკონომიკური თანამშრომლობის 14-წლიან ისტორიას

პრეზიდენტი მონაწილეობას მიიღებს დსთ-ს სამიტში, რომელზეც ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას ევრაზიის ეკონომიკური თანამშრომლობის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ 2015 წლის 1 იანვრიდან ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ფუნქციონირების დაწყებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ 14 წლის წინათ შექმნილი გაერთიანება ფორმალურად შეწყვეტს თავის არსებობას.

* * *

ევროპა ზომებს ღებულობს ებოლის ვირუსის წინააღმდეგ: ბრიტანეთი აწესებს კონტროლს აეროპორტებში, სერბეთში ასობით კაცი კარანტინშია

სერბეთში ხელისუფლებამ გადაწყვიტა კარანტინში მოაქციოს 700-ზე მეტი კაცი, რომელთაგანაც პოტენციურად ზოგიერთი შეიძლება დასნებოვნებული იყოს სასიკვდილო ვირუსით. დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის ლონდონის აეროპორტში შემოიღეს სამედიცინო კონტროლი. გაჩნდა ცნობები პაციენტების ებოლის სიმპტომებით ჰოსპიტალიზაციის შესახებ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

* * *

ამერიკელმა, რომელმაც თვითმფრინავში უნიჭოდ იხუმრა ებოლის შესახებ, ბორტზე პანიკა გამოიწვია

იმ რეისის მგზავრმა, რომელიც ფილადელფიიდან დომინიკის რესპუბლიკაში მიფრინავდა, ფრენის დროს წამოიყვირა „მე ებოლა მაქვს“, რითაც თანამგზავრები დიდად შეაშინა. შედეგად თვითმფრინვის დაჯდომის შემდეგ მგზავრებს მოუწიათ თვითმფრინავში ყოფილიყვნენ ზედმეტი ორი საათი, სანამ ხელისუფლება არ დარწმუნდა რეალური საფრთხის არარსებობაში. ხუმრობას შეიძლება მოჰყვეს სარჩელი ხელისუფლებისა და ავიაკომპანიის მხრიდან.

სატენდერო მოწვევა

საქართველო
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRP III) (P148048)
სატენდერო მოწვევა # SLRP III/CW/NCB-05 (I ლოტი & II ლოტი)

წერეთელი – მირზოევკა – მუღანლო – ქესალოს გზის კმ4-კმ16 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები – I ლოტი
ბოლნისი – სიონის მონასტრის გზის კმ0 –კმ9 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები – II ლოტი

1. საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის დაფინანსება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტისთვის (შ დ III). აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება "წერეთელი – მირზოევკა – მუღანლო – ქესალოს გზის კმ4-კმ16 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების – I ლოტი; ბოლნისი – სიონის მონასტრის გზის კმ0 –კმ9 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების – II ლოტი" ასანაზღაურებლად.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, რათა წინასწარი და მიწის სამუშოების განსახორციელებლად და საფარის სარეაბილიტაციოდ დალუქული კონვერტებით წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდია **I ლოტისთვის 17 თვე და II ლოტისთვის 17 თვე.**

3. სამუშაოების წინასწარი ღირებულება შეადგენს **I ლოტისთვის 5, 391,666.21 ლარს და II ლოტისთვის 4, 538,926.00 ლარს,** ყველა სახის გადასახადის და სახელმწიფო მოსაკრებელის ჩათვლით, როგორც ეს წარმოდგენილია ინსტრუქციის 14.7 ქვეთავში. თუმცა, ტენდერში მონაწილის პასუხმისმგებლობაა წარმოდგენილი სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს წინასწარ ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და აგრეთვე გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების ღირებულებაზე.

4. სამუშოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (ჩ) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (I ღ) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (I) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი)" და სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად ღია მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის.

5. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად უნდა დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსს ბ-ნ ვახტანგ რაზმაძეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

6. პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიარეს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

I ლოტი

ა. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ 5,700,000 (ხუთი მილიონ შვიდასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით;

ბ. ძირითადი კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში მინიმუმ ერთ ობიექტზე ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშოებს (სამუშაოები არსებითად დასრულებული უნდა იყოს) ღირებულებით არა ნაკლებ 4,300,000 (ოთხი მილიონ სამასი ათასი) ლარის ოდენობით;

გ. არანაკლებ 100,000 მ² საფარის სარეაბილიტაციო სამუშოების შესრულება რომელიმე ერთ წელს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში.

დ. ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების, გარდა ავანსისა, ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ 950,000 (ცხრაას ორმოცდაათი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით.

ვ. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია III ნაწილში – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი.

II ლოტი

ა. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ 4,800,000 (ოთხი მილიონ რვაასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით;

ბ. ძირითადი კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში მინიმუმ ერთ ობიექტზე ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშოებს (სამუშაოები არსებითად დასრულებული უნდა იყოს) ღირებულებით არა ნაკლებ 3,600,000 (სამი მილიონ ექვსასი ათასი) ლარის ოდენობით;

გ. არანაკლებ 70,000 მ² საფარის სარეაბილიტაციო სამუშოების შესრულება რომელიმე ერთ წელს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში.

დ. ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების, გარდა ავანსისა, ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ 800,000 (რვაასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით;

ვ. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია III ნაწილში – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი.

7. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის ინგლისურ ენაზე შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან აშშ დოლარში მისი ექვივალენტის გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

ეროვნულ ვალუტაში გადახდისთვის:
მიმღები: ხაზინის ანგარიში
ხაზინის ანგარიშის №200 122 900
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: **TRESGE22**
ბანკის ძველი კოდი (220 101 222)
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302 007 800
სავალუტე ანგარიშის №001 189 362
აშშ. დოლარში გადახდისთვის:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
mimRebi agenti:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
ბენეფიციარი ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი
SWIFT CODE: BNLNGE22
ბენეფიციარი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
IBAN: GE65NB0331100001150207

გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (მითითებული იქნას ს/გზის მონაკვეთის დასახელება).

მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტებს საკუთარი ხარჯებით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

8. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 10 ნოემბრის, 17:00 საათისა** ადგილობრივი დროით. წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენტენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ ტენდერს **2014 წლის 10 ნოემბერს, 17:00 სთ-ზე ადგილობრივი დროით.**

9. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში (ანუ 90 დღე+28 დღე=118 დღე). ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

10. დამკვეთის მისამართი, სადაც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებები:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო
ბ-ნი ვახტანგ რაზმაძე, საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
ტელ: + (995 32) 37-05-08 დამ. 305
ფაქსი: + (995 32) 31-30-34
ე-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

INVITATION FOR BIDS

Georgia
Third Secondary and Local Roads Project (SLRP III) (P148048)
Bid Invitation No: SLRPIII/CW/NCB-05 (Lot I & Lot II)

Rehabilitation of km4 - km16 section of the Tsereteli-Mirzoevka-Muganlo-Kesalo road Lot – I; Rehabilitation of km0 - km9 section of the Bolnisi-Sioni Monastery road Lot- II;

1. Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Third Secondary and Local Road Project (SLRP III) and intends to apply part of the proceeds to eligible payments for contract for "Rehabilitation of km4 - km16 section of the Tsereteli-Mirzoevka-Muganlo-Kesalo road Lot - I; Rehabilitation of km0 - km9 section of the Bolnisi-Sioni Monastery road Lot II".

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids in sealed envelopes for execution of preliminary and soil works and rehabilitation of pavement. Implementation period for execution of rehabilitation works is **17 months for Lot I and 17 months for Lot II.**

3. The estimated cost of proposed works is is **GEL 5,391,666.21 for Lot-I and GEL 4,538,926.00 for Lot-II**, including all taxes, duties and other governmental levies as elaborated under clause ITB - 14.7. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed works.

4. Procurement of works will be conducted through the procedures of National Competitive Bidding as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers (January, 2011) and is open to all eligible bidders as defined in the guidelines.

5. Interested eligible bidders who wish to receive any additional information and inspect the bidding documentation should contact Mr. Vakhtang Razmadze, Head of Foreign Projects Department of the Roads Department of Georgia at the address below during 10:00 A.M till 17:00 P.M.

6. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

Lot I

a. average annual construction turnover of at least 5,700,000 GEL (Five Million Seven Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent over the last 5 (five) years;

b. experience as prime contractor in the construction of at least one work of a nature and complexity equivalent to the works over the last 3 (three) years (works should be substantially completed) with a value of at least 4,300,000 GEL (Four Million Three Hundred Thousand Georgian Laris);

c. at least 100 000 m² of pavement rehabilitation works executed in any one year during the last 3 (three) years.

d. the evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation;

e. Liquid assets and/or credit facilities, net of other contractual commitments and exclusive of any advance payments which may be made under the Contract, of no less than 950,000 GEL (Nine Hundred Fifty Thousand Georgian Laris) or equivalent.

f. Additional Qualification Criterion as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

Lot II

a. average annual construction turnover of at least 4,800,000 GEL (Four Million Eight Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent over the last 5 (five) years;

b. experience as prime contractor in the construction of at least one work of a nature and complexity equivalent to the works over the last 3 (three) years (works should be substantially completed) with a value of at least 3,600,000 GEL (Three Million Six Hundred Thousand Georgian Laris)

c. at least 70 000 m² of pavement rehabilitation works executed in any one year during the last 3 (three) years.

d. the evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation;

e. liquid assets and/or credit facilities, net of other contractual commitments and exclusive of any advance payments which may be made under the Contract, of no less than 800,000 GEL (Eight Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent.

f. Additional Qualification Criterion as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

6. A complete set of bidding documentation in English language may be purchased by interested applicants on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

For GEL transfer:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

For USD transfer
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: (Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia)
IBAN: GE65NB0331100001150207

Payment Designation: Tender fee for the Roads Department (Insert road section name)
If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

7. The Bids should be delivered at the address below not later than **November 10, 2014, 17:00 Hours local time.** Electronic versions of the bids are not acceptable. Late bids will not be accepted. The bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend bid opening on **November 10, 2014, 17:00 Hours local time.**

8. All bids should be submitted together with the Bid Security Declaration. Bid Security Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (i.e., 90 days+28 days = 118 days). For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

9. The Employer's address for the purpose of Bid submission is:
Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Mr. Vakhtang Razmadze, Head of Foreign Projects Department
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 32) 37-05-08 ext.255
Fax: + (995 32) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web-page: www.georoad.ge

◎ ჭიდაობა

ფილა-ს პრეზიდენტის მისია

თბილისში სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) პრეზიდენტი ნენად ლალოვიჩი. მისი მიზანია სეოკ-ის საიუბილეო დღეებში მონაწილეობა, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა კურტანიძისთვის სოლიდარობის გამოცხადება და ადგილზე იმის გაცნობა, თუ რამდენადაა საქართველო მზად 2016 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის სამასპინძლოდ.

საპატიო სტუმარმა სასტუმრო „რედისონში“ ლუკა კურტანიძესა და ექსტრა-კლასის არბიტრ ედიშერ მაჩაიძესთან ერთად პრესკონფერენცია გამართა. სიტყვით გამოსვლისას ლალოვიჩმა რამდენჯერმე ახსენა ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, რომელთანაც მეგობრობს თურმე და გამოთქვა რწმენა, რომ საქართველო ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატს ღირსეულად უმასპინძლებს. რაც შეეხება ჩვენი ჭიდაობის ფედერაციაში შექმნილ დაპირისპირებას, სტუმარს თავისი პოზიცია ღიად არ დაუფიქსირებია, რადგან ეს შიდა საქმეაო, თქვა, თუმცა ის კი დასძინა, რომ სპორტსმენების საქმე ვარჯიშია, ვისაც ეს არ სურს, წავიდეს და მათ ნაცვლად სხვები მოვლენო.

კურტანიძემ დამსწრეთ აუწყა, რომ ფილა-ს პრეზიდენტს გააცნობენ აშშ-ის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე „თბილისი-2015“-ის ფარგლებში მშენებარე ჭიდაობის ბაზას, რომელიც ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის შემდეგ ფედერაციას გადაეცემა.

ლეჟსო ციცვაძე

◎ სამგო

ხუთი მედლით დაიწყეს

სეულში (კორეა) ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატში საქართველოს წარმომადგენლებიც ჩაებნენ. ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენმა ფალავნებმა 5 მედალი მოიპოვეს — 2-2 ძოქრო-ბრინჯაო“ და 1 „ვერცხლი“. ჭაბუკების ანგარიშზეა ორი პირველი და ერთი მესამე ადგილი. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ჯაბა ქურდიანი (60 კგ) და ივანე ჩურჩხელაშვილი (75), ხოლო. „ბრინჯაო“ ირაკლი შონიას ერგო. ოქროსთვის ჩვენმა ბიჭებმა გადამწყვეტი პაექრობები რუსებს — სერგეი ვოროტინცევსა და კონსტანტინ უდოვს მოუგეს.

ახალგაზრდებში ლაშა პარასკევაშვილმა (62) მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო რუსლან ბუტოვთან და მეორე ადგილს დასჯერდა. მიხეილ მეზურნიშვილი (82) კი ნახევარფინალში რუსეთის სახელით მოასპარეზე გენო ქეცბაიასთან დამარცხდა და მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

გივი გაგუა

◎ ადამიანი დროში

ულალატოდ განვლილი გზით

წლეულს 18 ოქტომბრიდან აჭარის დედაქალაქი 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს, 2018 წელს კი ფიდეს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით ბათუმში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა გაიმართება. ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებების ჩატარების უფლების მოპოვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით საქართველოს ჭადრაკის ფედრაციასა და მის თავკაც გიორგი გიორგაძეს, რომელსაც გუშინ 50 წელი შეუსრულდა.

საიუბილეოდ გამოცემულ ავტობიოგრაფიულ წიგნში („ცხოვრება ჭადრაკით“) ბატონი გიორგი ერთგან შენიშნავს: „ნახევარი საუკუნის განმავლობაში ბევრი მასწავლებელი მყოლია, ზოგი — თბილი, ზოგიც — ცივი, მაგრამ ცხოვრებასავით მკაცრი და დაუნდობელი — არავინ. რამდენიც უნდა ეცადო, როგორი საქმეც უნდა აკეთო, ჯვარცმას მაინც ვერ ასცდები. მთავარია, სწორი გზით იარო და უფლის წინაშე იყო მართალი“.

გიორგი გიორგაძემაც მართალი გზით იარა და უღალატოდ განვლო მთელი ცხოვრება. ჭაბუკობიდანვე სიყვარულსა და პატივისცემას იმკიდა თავადვე სიყვარულის მთესველი. ბრძენთა თამაშის საიდუმლოებას ხუთი წლისა ეზიარა. მოსწავლეთა შორის საქართველოს ოთხგზის ჩემპიონმა ორჯერ (1982, 1988) უფროსებში მოიპოვა ეს ტიტული, საკავშირო სპარტაკიადისა და ახალგაზრდული თამაშების ბრინჯაოს მედალოსანმა, 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ზონალური ტურნირის გამარჯვებულმა ქართველ მოჭადრაკე ვაჟთაგან პირველმა 1996 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მცირე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა მე-2 დაფაზე. ესპანეთის საკლუბო ჩემპიონატის ორგზის ჩემპიონმა მრავალ საერთაშორისო ტურნირში მიაღწია წარმატებას. იყო მსოფლიოს ჩემპიონ გარი კასპაროვის მწვრთნელთა გუნდის წევრი. ახალგაზრდა დიდოსტატმა მსოფლიოს მე-13 ჩემპიონის ანატოლი კარპოვთან სამთვიანი სამატჩო მარათონისას დაკისრებულ მოვალეობას ღირსეულად გაართვა თავი.

გიორგი გიორგაძემ სხვადასხვა წლებში წარმატებით იმუშავა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და თბილისის მერიაში, ორი წელიწადი ქუთაისის მერის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო 2008 წელს საჭადრაკო ოჯახს დაუბრუნდა. ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი წერს: „ძნელია, იყო ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, მით უმეტეს - კარგი პრეზიდენტი. ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გიორგი გიორგაძემ კი შეძლო, ყოფილიყო შესანიშნავი ორგანიზატორი და თავკაცი. იგი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას მაშინ ჩაუდგა სათავეში, როცა აქ არეულობა სუფევდა. თავისი სიდინჯითა და კომუნიკაბელურობით სიმშვიდე და სიწყნარე შემოიტანა საჭადრაკო ოჯახში. იმდენად სწრაფად მოაგვარა არეული საქმეები, რომ სამი თვის შემდეგ საქართველოს ქალთა ნაკრებმა დრეზდენში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა მოიგო“. აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონი გიორგის ინიციატივით ექვსი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში არაერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება გაიმართა — მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები 8-18-წლიანებში, მსოფლიოს ჩემპიონატები სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში, მსოფლიოს ქალთა გრანპრის ეტაპი, საერთაშორისო ტურნირები და სხვა. უმნიშვნელოვანესი მაინც 2018 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძლობის უფლების მოპოვებაა.

— ოთხი წლის შემდეგ ოლიმპიადის ჩამტარებელი ქვეყნის ვინაობა ნორვეგიულ ტრომსოში ფიდეს გენერალურ ასამბლეაზე უნდა გადაწყვეტილიყო, - გვითხრა ბატონმა გიორგიმ. — საკმაოდ ძლიერი კონკურენტი გვყავდა — სამხრეთი აფრიკა, რომელსაც მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი გარი კასპაროვი და სხვა ცნობილი დიდოსტატები უჭერდნენ მხარს. ყველაფერი გავაკეთეთ საიმისოდ, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო სრულყოფილად გაგვეცნო მთელი მსოფლიოსთვის. ტრომსოში ვიქირავეთ შენობა, რომელშიც დროებით „ქართული სახლი“ მოვაწყვეთ. იქ შეხვედრები გავუმართეთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციების წარმომადგენლებს, ფიდეს გენერალური ასამბლეის დელეგატებს, რომლებსაც სასაჩუქრე ჩანთები დავურიგეთ 2018 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის ლოგოთი დამშვენებული ქართული ღვინითა და მაისურით, მცირე ზომის ქვევრით, მომავალი შეჯიბრების თილისმით — ქართულჩოხიანი პაიკით, რომელშიც ჩასმულია მეხსიერების ბარათი საქართველოსა და ქართულ ჭადრაკზე დოკუმენტური ფილმებით. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენმა ცდამ ამაოდ არ ჩაიარა და საქართველოს და ჩვენს საჭადრაკო ოჯახს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვუტანეთ...

ბატონი გიორგი იმითაც არის ბედნიერი, რომ დიდი ოჯახის ბურჯი და მოამაგე, ყურადღებიანი მეუღლე, მზრუნველი მამა და ბაბუაა. გულითადად ვულოცავთ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, დღეგრძელობას და წარმატებებს ვუსურვებთ ქვეყნისა და საკუთარი ოჯახის საკეთილდღეოდ.

ვაჟა დანელია

◎ სეოკი — 25

მართლაც საამაყო თარიღი

გრძელდება სეოკის საიუბილეო 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და სოკის პრეზიდენტ თომას ბახის უცხოელ სტუმრებთან შეხვედრის შემდეგ სეოკის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა 7 ქვეყნის — ესტონეთის, ლიტვის, მოლდოვას, პოლონეთის, საბერძნეთის, უკრაინისა და ყირგიზეთის ეოკის პრეზიდენტებთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა.

ამის შემდეგ სეოკის სათაო ოფისის ოლიმპიურ მუზეუმში გაიმართა ბახის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სტიპენდიანტ ქართველ ათლეტებთან, წლის საუკეთესო სპორტსმენებთან და ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების მედალოსნებთან შეხვედრა.

მოგვიანებით სოკის პრეზიდენტი თომას ბახი და ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს შეხვდნენ, დღის დასკვნითი ღონისძიება კი რუსთაველის გამზირზე მდებარე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში შედგა, სადაც ბავშვთა ნახატების გამოფენა „ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ“ მოეწყო.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

სიყვარული ბელარუსულად

ბელარუსი სუპერმოდელი ვიქტორია რუნცოვა სამოდელო საქმეში ცნობილი და პოპულარული ქალია. უფრო მეტიც — შეიძლება ითქვას, რომ მთელს აღმოსავლეთ ევროპაში სახელგავარდნილ ლამაზმანთა შორისაც კი ერთ-ერთი უპირველესია და მისი მორტფიალეთა უზარმაზარი არმია დაბორიალობს ჩვენს მრავლისმნახველ კონტინენტზე.

წესით და რიგით, ასეთ ქალს სხვასთან სახვეწარი და საღიჯინო არაფერი უნდა ჰქონდეს, მაგრამ როგორც ილარიონ შევარდნაძე იტყოდა: „სიყვარულს რას გაუგებ?!“. ვიქტორია თურმე ცნობილ პორტუგალიელ ფეხბურთელზე კრიშტიანუ რონალდუზე ყოფილა შეყვარებული.

მოკლედ, ეს ჩვენი ვიქტორია რუნცოვა ამ რამდენიმე დღის წინათ თანამემამულე ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ მისი ოცნების მამაკაცი კრიშტიანუ რონალდუა და იგი მზადაა, ამ ბიჭის მოსაპოვებელ ბრძოლაში ირინა შეიკსაც კი დაუპირისპირდეს. უყვარს და ძალაა?...

როსტომ რაჭველიშვილი

კაცი – მაგალითი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიძინა მგალობლიშვილის 95 წლისთავი აღინიშნა

10 ოქტომბერს ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა. ამასთან დაკავშირებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აფხაზეთის სამეცნიერო ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ცნობილი მეცნიერ-მედიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, აფხაზეთის ყოფილი მთავარი ფსიქიატრის, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ანატომიის და ადამიანის ფიზიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის დამფუძნებლისა და პირველი ხელმძღვანელის, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერის ბიძინა მგალობლიშვილის დაბადებიდან 95 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გამართა.

ბიძინა მალობლიშვილი, ალექსანდრე მაკარიძე, ბიძინა ნანეიშვილი, ალექსანდრე ძაჯაია, სერგი წულაძე

საიუბილეო საღამო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ გახსნა. პროფესორებმა ჯუმბერ ხუბუტიამ და გიორგი ნანეიშვილმა წაიკითხეს მოხსენებები: „ბიძინა მგალობლიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა“ და „ბიძინა მგალობლიშვილი – მეცნიერ-ფსიქიატრი“.

მიწვეულ სტუმრებს მიესალმნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურისა და განათლების მინისტრი დიმა ჯაიანი, პროფესორები მარიამ მირეასაშვილი და გივი წულაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური მართვის მინისტრის მოადგილე აბესალომ მიქელაძე, სოხუმ-ხელსაწყოს დამფუძნებელი ალექსანდრე მიქაძე, თამარ გულედიანი და სხვ.

გამომსვლელებმა კიდევ ერთხელ მოიგონეს ეს ბრწყინვალე ადამიანი, ისაუბრეს მის მიერ განვლილ იმ დიდ გზაზე, რომელიც დღესაც, სამაგალითოა ყველა ახალგაზრდა მეცნიერისთვის და სამშობლოს მოყვარული ნებისმიერი პატრიოტი ადამიანისთვის.

ბიძინა მგალობლიშვილის 95 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საღამოს შესანიშნავი ორგანიზება გაუკეთა „პროფესორ ივანე მგალობლიშვილის ფერტილობის ცენტრ დომინანტის“ ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ქეთი ტაბუცაძემ.

მართლაც სიმბოლურია, რომ დიდი ფსიქიატრის ბიძინა მგალობლიშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღეს დაემთხვა, რადგანაც ბატონ ბიძინას უზარმაზარი წვლილი აქვს შეტანილი იმ ადამიანის საზოგადოებაში დასაბრუნებლად, ვინც ამ მძიმე სენით იტანჯებოდა. რაც შეეხება ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღეს, შეგახსენებთ, რომ ეს თარიღი 1992 წლიდან აღინიშნება....

გია გაბრიჭიძე

◎ წერილი რედაქციას

დედა ნახე, მამა ნახე!..



საქართველოში გმირებად მოიხსენიებენ იმ მშობლებს, რომელთაც კარგი შვილები აღზარდეს. მეც, სწორედ, ასეთ ოჯახზე მინდა გიამბოთ...

რაია მიხაილოვნა პუგაჩოვა და ვოვა ალექსანდრეს ძე არეშიძე ახალგაზრდები იყვნენ, როცა დაქორწინდნენ. ორი ვაჟი შეეძინათ – დიმა და საშა. 20 წელი ერთად გაატარა ოჯახმა. 1994 წელს საქართველოში დატრიალებულმა მოვლენებმა ოჯახი დააშორა ერთმანეთს. რაია მიხაილოვნა და შვილები რუსეთში გადავიდნენ საცხოვრებლად. ბიჭებმა თან გაიყოლეს ქართული სული, მამის პატივისცემა, ადათ-წესების ერთგულება, პატიოსნება, თავაზიანობა. დედა თვალს ადევნებდა შვილების წესიერ გზაზე დაყენებას.

მამამ ვერ მიატოვა მშობლების საფლავი, თავისი თბილისი, მეგობრები და აქ, საქართველოში დარჩა. საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა ვოვა – მშრომელი, ნიჭიერი, სამართლიანი, თავაზიანი ინტელიგენტი, გამორჩეული თბილისელი; – ასე იცნობდნენ ყველგან. 20 წელი გატარა შვილების გარეშე. მუდამ ენატრებოდა ისინი, სევდიანი და გულჩათხრობილი დადიოდა.

2014 წლის 3 ივნისს ოჯახს მონატრებული გული გაუჩერდა. შვილებმა ღირსეულად დაიტირეს მამა – ქრისტიანულად, ქართული ადათ-წესებით.

ვოვას დარჩა მეორე მეუღლე, ქალბატონი გულიკო, რომელიც 12 წლის წინ გაიცნო. მარტოხელა პედაგოგი ცდილობდა, გვერდში ამოდგომოდა მეუღლეს. თავზე არ ახვევდა თავის პრობლემებს, მაგრამ ახლა, დარჩა სრულიად მარტო, – ღვთისა და ბედის ანაბარად. აი, სწორედ აქ მოხდა სასწაული: ბიჭებმა დააფასეს ქალბატონი გულიკოს ამაგი, მამისადმი ერთგულება, მეორე დედად აღიარეს, ბინა ჩააბარეს და მომავალშიც პატრონობას დაჰპირდნენ.

თვალცრემლიანი მეზობლები ლოცავდნენ მათ. ამბობდნენ, „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“. ბიჭებმა ამ საქციელით გააცოცხლეს მამა და დედის ღირსება წარმოაჩინეს.

...და მეც „ქალბატონი გულიკო“, ვლოცავ მათ, როგორც საკუთარ შვილებს. მადლობას ვუხდი მშობლებს (ისინი ნამდვილად იმსახურებენ ამას). ბიჭებმა სიცოცხლე გამიხანგრძლივეს, სიყვარული მაჩუქეს, ჩემს ცხოვრებას აზრი მიეცა. ჩემი მეუღლის სიყვარული მის შვილებზე გადავიდა. მათი მოლოდინით ვცოცხლობ!

მჯერა,სადაც არ უნდა იყვნენ ვოვას შვილები, ყველგან კაცურად, ლამაზად, ქრისტიანულად იცხოვრებენ და არც თავიანთი მამის მოსიყვარულე მეგობარს „ქალბატონ გულიკოს“ დაივიწყებენ.

სიცოცხლე გრძელდება, დღეს არეშიძეების ქართული ჯიში და გენი სხვა მიწაზე დააბიჯებს – მართლები ღმერთისა და კაცის წინაშე: დიმა, საშკა, ნასტია, სანჩო, გრიშა, ალა, ოლია არეშიძეები.

მუდამ სწორ გზაზე ევლოთ ქართული გულით და უფლის მადლით!

გულიკო არეშიძე

◎ მომავალი მათ ეკუთვნით

ახალგაზრდა ბანკირი

გიორგი მამულაშვილი ახალგაზრდა ბანკირია. 2 წელია მუშაობს საფინანსო ბანკ „ფინკაში“. მისი დადებითი თვისებები იზიდავს ფულის სესხების მსურველთ. თავისი საქმით ზედმიწევნით მცოდნე ოპერატორი მუდამ თავაზიანად, დინჯად ემსახურება მათ.

მე პირადად მადლობა მინდა გადავუხადო ამ ახალგაზრდა კაცს პროფესიონალიზმის, ნიჭიერებისა და საუკეთესო მომსახურებისთვის. იგი ღირსია და ნამდვილად იმსახურებს წარმატებას. მომავალი ასეთებს ეკუთვნით.

როზა ჩხიკვაძე

◎ ინფორმაცია

სანდრო გირგვლიანის საქმეზე განაჩენი 20 ოქტომბერს გახდება ცნობილი

სანდრო გირგვლიანის საქმეზე მოსამართლე დავით მგელიაშვილი განაჩენს 20 ოქტომბერს, 12.00 საათზე გამოაცხადებს. გირგვლიანის საქმის განხილვა საქალაქო სასამართლომ გუშინ დაასრულა.

როგორც პროცესის დასრულების შემდეგ საქმის პროკურორმა ირაკლი ნადარეიშვილმა განაცხადა, ბრალდებულების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის მოლოდინი აქვს. პროკურორის თქმით, გარდა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ჩვენებებისა, საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომელიც ბრალდებულების ბრალეულობას ეჭვქვეშ დააყენებდა. თავის მხრივ, დაცვის მხარე ვარაუდობს, რომ მოსამართლე ბრალდებულების მიმართ გამამართლებელ განაჩენს გამოიტანს.

გირგვლიანის საქმეზე ამ ეტაპზე ბრალდებულები არიან შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი, შსს-ს ყოფილი თანამშრომელი გერონტი ალანია და ოქროყანის ეპიზოდზე ბრალდებული ვალერიან მეტრეველი.

როგორც ცნობილია, ალანია ძებნაში იმყოფება, მერაბიშვილი და მეტრეველი კი პატიმრობაში არიან და საკუთარი გადაწყვეტილებით საქმის განხილვებში არ მონაწილეობდნენ. ამ საქმეზე ასევე ბრალდებულები არიან დათა ახალაია და ოლეგ მელნიკოვი, თუმცა, მელნიკოვს აღიარებითი ჩვენების შემდეგ საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა, დათა ახალაიას საქმე კი მისი საბერძნეთიდან ექსტრადირების საკითხის გადაწყვეტამდე ცალკე წარმოებად არის გამოყოფილი. გირგვლიანის საქმე ორ ეპიზოდს მოიცავს, მეორე ეპიზოდია, ვამეხ აბულაშვილისა და კახაბერ დაბრუნდაშვილის ოქროყანაში ცემის ფაქტი. პროკურატურის მასალებით აღნიშნული პირების ცემა ოქროყანაში იგივე სცენარით მოხდა, როგორც გირგვლიანის შემთხვევაში. საქმეში ბრალდებული ვალერიან მეტრეველი სწორედ საქმის ამ ეპიზოდზეა ბრალდებული. გირგვლიანის საქმეს საქალაქო სასამართლო რამდენიმე თვის განმავლობაში იხილავდა.

ШПС „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ აცხადებს ტენდერს შესყიდვაზე

1. ბაბიტი ბ-83 200კგ სერთიფიცირებული

მიმართეთ საკონტაქტო პირს: თეიმურაზ ჩიჩუას ტელ: 591 931 010

- კორპორაცია იტოვებს უფლებას მოწოდებული ბაბიტი შეამოწმოს ლაბორატორიულად.
- წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე, დალუქული კონვერტით.
- განფასება წარმოდგენილი უნდა იქნას ლარებში დღგ-ს ჩათვლით.
- ანგარიშსწორების პირობები.
- ორგანიზაციის მომართვა, კომპანიის საქმიანობის ისტორიის მოკლე აღწერა.
- წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნას 2014წლის 17 ოქტომბრის 17 სთ-მდე.

ტენდერის შედეგები ცნობილი იქნება 2014წლის 20 ოქტომბერს.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ზაზა ბერელიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ზაზა ბერელიძე (პირადი №01005009603), მის: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №8, ბინა №38;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. თბილისი, კოჯორი, სოფელი კვესეთი, 600კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 81.01.07.493);

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 6226.05 ლარი, საიდანაც 5750.98 ლარი არის დავალიანების თანხა, 460.07 ლარი არის სპეციალისტის მომსახურების საფასური, 15 ლარი არის ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლებისათვის გაწეული ხარჯი.

3. აუქციონის დაწყების დრო: 2014 წლის 21 ოქტომბერი, 15:30 საათი;

4. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. მოვალე: შპს „ლაზურკა“ (ს/კ 401978758), მის: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №8, ბინა №38;

6. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2014 წლის 21 ოქტომბრის, 15:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

სულიერება

„პალიასტომის“ ღვთისმშობლის ხატი

11 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს პალიასტომის (ფოთის) ღვთისმშობლის ხატის დღეს.

...ცნობილია, რომ „პალიასტომის“ (ფოთის) ეს უძველესი ხატი კოლხეთის უძველესი ქალაქის ფაზისის საკათედრო ტაძარში იყო დაბრძანებული. ასევე ისტორია გვამცნობს, რომ დაახლოებით VIII-IX საუკუნეებში ეს ტაძარი ჩაიძირა და ახლა იქ პალიასტომის ტბაა.

...ტაძრის ჩაძირვამდე მის წინამძღვარს ღვთისმშობელი მრავალგზის გამოეცხადა და ხატის გელათში გადაბრძანება უბრძანა. ამჟამად ხატი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმშია.

აი, რას ვკითხულობთ „პალიასტომის ღვთისმშობლის შესახებ: **„წინათ ეს ღვთისმშობლის ხატი გურიის ციხე-ქალაქ პალიასტომის საკრებულო ტაძარში იდგა, საყდრის მთავარხუცესმა ხსენებული ხატის შთაგონებით ჩვენება იხილა თურმე, თითქოს მას სიზმარში, ღვთისმშობელმა უთხრა, რომ ტაძრიდან შესულიყო და მისი ყოვლადწმინდა ხატი პალიასტომიდან გამოეტანა, რადგან ციხე-ქალაქს წყალში ჩაძირვა ელისო. მთავარხუცესს სიზმრისთვის არ დაუჯერებია და არც სხვისთვის გაუგებინებია ამის თაობაზე. წარღვნას გადაურჩა „პალიასტომის“ ხატი — თურმე ის ჰაერში მიდიოდა, უხილავად, თავისუფლად... და, როდესაც მთავარხუცესმა სასწაული დაინახა და ცოდვების მისატევებლად მუხლებზე დაიჩოქა, ხატი ჰაერიდან მის ხელებში მიესვენა“.**

„პალიასტომის“ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი დავით მეფის შვილიშვილს — გიორგი მეფეს ქუთაისის ციხე-ქალაქში გადაუბრძანებია. მას შემდეგ მას ქუთაისის ხატსაც უწოდებენ.

გვფარავდეს საქართველოს ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი „პალიასტომის“ ხატი და ყველა 11 ოქტომბერს დაბადებულთ ვულოცავთ დღევანდელ დღეს!

გიული ლიპარტია

მცირე ენციკლოპედია

მარად უკვდავი პროდუქტი

თაფლი — უნიკალური პროდუქტია, რომელიც საუკუნეების მანძილზე ინახება. ცნობილია, რომ ერთ-ერთ უძველეს ეგვიპტურ აკლდამაში საჭმელად ვარგისი თაფლი აღმოაჩინეს. თაფლის გამორჩეული თვისებები რამდენიმე გარემოებითაა განპირობებული.

პირველი მათგანი ჰიგროსკოპულობა, ანუ თაფლის თვისება — წყალი გარემოდან, მათ შორის, ჰაერიდან შთანთქას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ, სადაც თაფლი ინახება, მიკროორგანიზმების სიცოცხლისათვის აუცილებელი ტენი არ რჩება. თანაც, ეს თვისება მას გამოშრობისგანაც იცავს.

მეორეა თაფლი PH-ის ძალიან დაბალი შემცველობა. მისი ეს თვისება გარემოს საიმისოდ იმდენად მჟავეს ჰქმნის, რომ მასში მიკრობები ვერ მრავლდება.

თაფლი წყალბადის ზეჟანგს გამოიმუშავებს. ტენის შთანთქმის შედეგად თაფლი წყალბადის ზეჟანგს გამოყოფს, რაც კიდევ უფრო მეტად ხელს უშლის თაფლში მიკროორგანიზმების დაბუდებასა და ამით მის გაფუჭებას.

თუკი თაფლში წყლის შემცველობა ჭარბი ხდება, წვიმის ზოგიერთი სოკოს სახეობას მასში სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება მაინც შეუძლია, რის შედეგად თაფლი დუღდება და ალკოჰოლს გამოყოფს. მიუხედავად ამისა, ადუღებული თაფლი საჭმელად მაინც ვარგისია. მეტიც: ბევრს ასეთი თაფლი უფრო გემრიელი ეჩვენება.

ხოლო თუკი თაფლი „დაშაქრდება“, ანუ დაკრისტალდება, საკმარისია ასეთი თაფლიანი ქილის თბილ წყალში ჩადება და იგი კვლავ „ახალივით“ გახდება.

გამოუსადეგარი „გუგოლი“

ყველაზე დიდი ციფრის დასახელება სრული უაზრობა რომაა, ეს მათემატიკის ანაბანის მცოდნე ნებისმიერმა კაცმა იცის, რადგან როგორიც გნებავთ ციფრი დავასახელოთ, მას, ნებისმიერ შემთხვევაში, სხვა თუ არაფერი „1“-იც შეიძლება მივუმატოთ...

არადა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს რიცხვი მაინც არსებობს, მისი „მამა-დამამკვიდრებელი“ კი ამერიკელი მათემატიკოსი ედვარდ კასნერია. ამ ციფრს „გუგოლი“ ეწოდება, მას ასი ნული აქვს და 10 აყვანილ 100-ის ხარისხში იწერება. საგულისხმოა ისიც, რომ სიტყვა „გუგოლის“ საავტორო უფლების მფლობელი მისტერ კასნერის 10 წლის ძმისწულია.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქვეყნოდ ცნობილი ამერიკული ინტერნეტ-კომპანია „გუგლი“ თავის სახელს სწორედ „გუგოლს“ უნდა უმადლოდეს.

საინტერესოა ასევე ისიც, რომ სამყაროში არ არსებობს არც ერთი მოვლენა ან პარამეტრი, რომლის შესაფასებლად „გუგოლი“ გამოდგებოდეს.

სიმწრის... სიტკბო

ერთობ უჩვეულო ექსპერიმენტის ჩატარების შედეგად, კალიფორნიელმა მკვლევარებმა სენსაციური დასკვნა გამოაქვეყნეს: თურმე ტანჯვას ადამიანისთვის... სიამოვნება მოაქვს, რის მიზეზი მძიმე, ტრაგიკული გარემოებების გახსენებასთან ერთად წარმოშობლი ერთგვარი ნარკოტიკული ეფექტია!

— გაუთავებელი უარყოფითი მოვლენები ადამიანის თავის ტვინში იმ ნეირონებს ააქტიურებს, რომელიც ეგრეთ წოდებულ „სიამოვნების ცენტრშია“ განთავსებული და დამოკიდებულების გაჩენას უწყობს ხელს, — აცხადებენ მედიკოსები.

ექსპერიმენტის უჩვეულობა კი იმაში მდგომარეობს, რომ მასში მონაწილე მოხალისე ქალბატონებს, რომლებიც ახლო ნათესავის გარდაცვალების გამო დარდობდნენ, მათი ფოტოსურათები აჩვენეს და ამავდროულად თავის ტვინის სკანირება ჩაუტარეს, აღმოჩნდა, რომ ფოტოების ნახვის დროს თავის ტვინის „სიამოვნების ცენტრი“ აღიგზნებოდა.

ამით კიდევ ერთხელ დადასტურება, რომ თანამედროვე მედიცინამ და ბიოლოგიამ ადამიანის თავის ტვინის შესახებ, ფაქტობრივად, ბევრი არაფერი იციან.

S, M, L

— ეს ახალი სავარჯიშო იარაღის სხვადასხვა წონითი კატეგორიის (16, 24 და 32 კილოგრამის) აღმნიშვნელი სიმბოლოებია.

ამ, რბილად რომ ვთქვათ, „მეტად უჩვეულო ფორმის“ მქონე ორბურთულას ავტორები უკრაინელი დიზაინერები არიან. როგორც ჩანს, მათი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ კუნთმაგარმა ჯეელებმა მშვენიერი სქესი არც სიქის გაცლამდე ვარჯიშის დროს დაივიწყონ.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

ცინცხალი ანეკდოტები

— **დაშა** ნუ ცეკვავ!
— რატომ?
— ნუ ცეკვავ და მორჩა!
— მაგრამ რატომ? ისეთი მაგარი რამეა!
— დაშა, გეხვეწები, ნუ ცეკვავ და საჭეს ხელი მოჰკიდე!

* * *

— **რობორი** სულელი ვიყავი, შენ რომ გამოგყევი ცოლად!
— შეგვიძლია, რომ განვქორწინდეთ.
— იფ! კიდევ რა გინდა? სულელი კი არა ვარ!

* * *

— **მე** ქალი ვარ და არა ჭურჭლის სარეცხი მანქანა.
— მე კაცი ვარ და არა ბანკომატი.

სანტექნიკოსმა პეტკამ ონკანი შეაკეთა და მოხუც დიასახლისს ეუბნება:
— მორჩა, ბებო, მაგრად მუშაობს. ერთი ბოთლი არაყი შენზეა.
— შვილო, იქნებ ფული აიღო?
— არა, ბებო, ჩემთვის ფულის მოცემა არ შეიძლება, სასმელში დავხარჯავ.

* * *

ორი ოდესელი ინტელიგენტი ებრაელი საუბრობს.
— კომუნიზმის დროს საკუთარი თვითმფრინავი მეყოლება.
— რად გინდა თვითმფრინავი?
— როგორ თუ, რად მინდა! აი, ვთქვათ, კალუგაში ფქვილი იყიდება. სულ ორი საათი დამჭირდება იქ ჩასაფრენად!

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24